# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 მაისი 2008 №121 (3345) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტარ სეგრტმა ჟინი და საქართველო დაიჟინა

იქითა კვირის ბოლოს ევროპის ჩემპიონატი ინყება, ამ კვირაში კი ავსტრია-შვეიცარიაში ნამსვლელები ბოლო ამხანაგურ მატჩებს მართავენ.

ევროპის ჩემპიონატზე მიდის პორტუგალიაც, ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლება და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც ჰყავს.

შაბათს კი, ევროპირველობამდე ბოლო ამხანაგურ მატჩში პორტუგალია საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებს.

ბოლომდე დაიხარჯებიან, ფეხებს გაუფრთხილდებიან თუ სხვა რამეს იზამენ პორტუგალიელები იმ შეხვედრაში, ერთი რამ ცხადია: საქართველოს ნაკრებს ურთულესი გამოცდა ელის. შეგვიძლია, ასეც ვთქვათ — ეს მატჩი პირადად პეტარ სეგრტის გამოცდაა.

რას უნდა ველოდოთ? ბოლო ხანებში ამ თემაზე რაც მოგვისმენია, ის არის, თუ რამდენი გოლით წააგებს ჩვენი ეროვნული გუნდი. წარმატების იმედი კი თითო-ოროლას თუ აქვს. და აქ მთავარი ის არ არის, რაც პორტუგალიელების ძალაზე ზემოთ ვთქვით, რაკი ნებისმიერი დიდი გუნდი მარცხდება ხოლმე ხანდახან უფრო სუსტებთან. პესიმიზმის არანაკლები მიზეზი ისევ ჩვენი ნაკრების უნიათო თამაშში უნდა ვეძებოთ, რომელიც უკვე იმდენი ხანია გრძელდება, რომ...

დიახ, ქართველებს ესტონეთთან მონდომება ეტყობოდათ, მაგრამ გულშემატკივრის ამდენხნიანი გულაცრუების ერთ თამაშში მონდომებით გაქარწყლება ძალიან ძნელია. მოგვეგო მაინც იმ ესტონეთთან...

ამ წუთას კი ყველაზე ნაკლები სასაყვედურო მაინც პეტარ სეგრტთან გვაქვს. შვიდ დღეში, რაც ის ნაკრებს თავკაცობს, მთების გადაგორებას ვერავინ მოსთხოვდა, ისიც გარკვევით გააგებინეს, მხოლოდ ორი მატჩით ხარ ნაკრების მწვრთნელიო, მაგრამ ხორვატს ენთუზიაზმის ნაკლებობისა მაინც არაფერი დასტყობია.

ენთუზიაზმი და შემართება — ბრმა უნდა იყო, სეგრტის ეს, მწვრთნელისთვის აუცილებელი თვისებები რომ ვერ დაინახო, თუმცა ისიც ცხადია, რომ შემართების გარდა შედეგის მისაღწევად სხვა რაღაცებიც არის საჭირო.

ერთი სიტყვით, სადღეისო ვითარება ძალიან ბუნდოვანია.

გუშინ კი, პეტარ სეგრტს ტალინში რომ დავურეკეთ, ინტერვიუ ამ სიტყვებით დაასრულა: პირობას ვიძლევი, პორტუგალიასთან ბოლომდე და კაცურად ვიბრძოლებთო.

ჩვენც ამის იმედი გვაქვს, დანარჩენი კი შაბათს გამოჩნდება.

საქართველოს ნაკრები კი უკვე პორტუგალიაშია. ესტონეთიდან გუშინ საღამოს გაემგზავრა. იქამდე ფეხბურთელებს დილის აღდგენითი და საღამოს მსუბუქი ვარჯიში ჰქონდათ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერტოტოს თასი. ჩვენი მეტოქე

## ლოკომოტივის ერთი კვირა

### გიორგი კიკნაძეს ბევრი რამ გასარკვევი აქვს



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა და ევროთასებზე გამსვლელთა ვინაობაც გაირკვა, თუმც ინტერტოტოს თასზე თამაში ქართულ კლუბებს დიდად არ ხიბლავთ და გუშინწინდლამდე გაურკვეველი იყო, ვინ ითამაშებდა. „ოლიმპმა“ და „ამერმა“ თავიდანვე თქვეს უარი, ბოლნისის „სიონმაც“ უარყო ინტერტოტო და საბოლოოდ „ლოკომოტივმა“ გადაწყვიტა მონაწილეობა. ცნობისთვის: თუ საქართველოდან რომელიმე გუნდი არ ჩაერთვებოდა გათამაშებაში, ფეხბურთის ფედერაციას სანქციები არ ასცდებოდა. გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს შევეხმიანეთ...

— 90 პროცენტი ჩვენ ვითამაშებთ ინტერტოტოზე. ხვალ კიდევ შევხვდებით კლუბის ხელმძღვანელებს და საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.

— მეტოქე უკვე ცნობილია: ლუქსემბურგული „ეტცელა“, მატჩები 21-22 ივნისს და 28-29 ივნისსაა დანიშნული. პირველი შეხვედრა სტუმრად გელით...

— ჯერ ამ გუნდზე არაფერი ვიცი, ამ ერთ კვირაში მოვიპოვებ ინფორმაციას.

— გუნდის გაძლიერებას თუ გეგმავთ?

— რამდენიმე ფეხბურთელს ალბათ შევიმატებთ, ეს საკითხიც უახლოეს დღეებში გაირკვევა.

— რა ამპლუის ფეხბურთელების დამატებას გეგმავთ?

— ამაზეც გვექნება მსჯელობა და გადავწყვეტთ...

— ლევან ცქიტიშვილს, რატი ალექსიძესა და ვიტალი დარასელიას „ლოკომოტივთან“ კონტრაქტები დაუმთავრდათ და მათი საქმე როგორ იქნება?

— მათი წასვლა-დარჩენის საკითხიც ამ ერთ კვირაში უნდა გაირკვეს.

— ვთქვათ, გაიარეთ „ეტცელას“ ბარიერი, მომდევნო მეტოქე რუსული „სატურნი“ იქნება. ხომ არ გეშინიათ?

— რატომ უნდა შეგვეშინდეს?! ჯერ „ეტცელა“ გავიაროთ და „სატურნზე“ მერე ვიფიქრებთ...

**ნუკრი ლოლაძე**




**ეტცელა** (ეტელბურკი, ლუქსემბურგი)
დაარსდა 1971 წელს
სტადიონი: „სტად ამ დაიხი“ (2 650 მაყურებელი)
მთავარი მწვრთნელი: ლუკ ჰოლცი
ტიტულები: ლუქსემბურგის თასი (2001)

## პლანეტა გვინდა ჯუჯების გავლით

**აი,** ასეთ გუნდებზე იტყვიან, ძალიან უნდა მოინდომო, რომ ვერ მოუგოო. არ ვიცით, ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივმა“ ლუქსემბურგული „ეტცელა“ თუ ვერ გამოთიშა, უკვე ლაპარაკიც აღარ უნდა იყოს საქართველოს ჩემპიონატის დონეზე.

„ეტცელა“ ჯუჯა ლუქსემბურგული საზომითაც კი საშუალო დონის გუნდია, მხოლოდ დაარსებიდან 54 წლის თავზე, 1971-ში გადავიდა უმაღლეს დივიზიონში, ევროსარბიელს კი 21-ე საუკუნიდან გაეჩვია. თუმცა, ვაი ასეთ გაჩვევას...

ერთი ხელის გაწვდენა ქალაქ ეტელბურკის გუნდი ევროტურნირებზე ოთხჯერ გავიდა (ოთხივეჯერ უეფას თასზე) და ეტაპის გადალახვას ვინ ჩივის, 8 მატჩში ერთ ფრესაც ვერ მესწვდა. არადა, სულ სკანდინავიის საშუალო დონის კლუბებს ხვდებოდა, მაგალითად, შარშანწინ შვედურ „ატვიდაბერგთან“ 0:3 და 0:4 განადგურდა.

მთლიანობაში „ეტცელას“ ევროსარბიელზე ბურთების შეფარდება ასეთი აქვს — 3:20.

თავის ქვეყანაში კი, „ეტცელას“ ერთხელ მოუგია თასი და ორჯერ ფინალი წააგო, ხოლო ჩემპიონატში ყველაზე კარგი შედეგი 2006-07 წლის სეზონში ჰქონდა, როცა მეორე ადგილზე გავიდა...

განვლილ სეზონში ლუკ ჰოლცის გაწვრთნილ გუნდს მეოთხე საფეხური ერგო და ჩემპიონ „დუდელანჟს“ 27 ქულით ჩამორჩა — ამავე „დუდელანჟთან“ ბოლო ტურებში სულაც 0:7 წააგო.

ხუთი ფეხბურთელი ჰყავს ლუქსემბურგის ნაკრებს „ეტცელადან“, რომელთა შორის გამორჩეულია მცველი დავიდ და მოტა. მის გარდა ჯუჯათა ნაკრებში ერიკ ჰოფმანი, ჟაკ პლეინი, მარკ ბენსფილდი და კარლოს ანდრე პინტუ ხვდებიან.

ბენილუქსელთა მთავარ გუნდს კი ქართველები კარგად უნდა იცნობდნენ: ჩვენმა ნაკრებმა შარშან აგვისტოში მათთან სტუმრად 0:0 „მოახერხა“.

კიდევ სად გადაჰყრიან ქართველები და ლუქსემბურგელები?

1996 წელს თბილისის „დინამომ“ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „გრევენმახერს“ (რომელსაც ქართველი გულშემატკივრები „პარიკმახერს“ ეძახდნენ) შინ 4:0 მოუგო, სტუმრად კი 2:2 ითამაშა.

საერთოდაც ლუქსემბურგულ კლუბებს ევროტურნირებზე ოდენ სანმარინოელები და ანდორელები გაუწევენ კონკურენციას ნაბოლარობაში.

„ლოკომოტივს“, რომელსაც ევროისტორიაში ოდენ ერთი მეტოქე გამოუთიშია (ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“), მშვენიერი შანსი აქვს, მეორე ეტაპზე რუსულ „სატურნთან“ შესახვედრად. თუ პლანეტელებამდე ვერ მივედით, მაშინ მართლაც არ უცხოვრია ქართულ ფეხბურთს საფეხბურთო პლანეტაზე და ეგ არის...

**ილია ნანობაშვილი**

**მეკარეები**
კრისტოფ დიედერიხი
ჟოე ფლიკი

**მცველები**
დავიდ და მოტა
ჟილ ენგელდინგერი
ბენ ჰადერსპილი
ერიკ ჰოფმანი
ჟაკ პლეინი
კლოდ რაიტერი

**ნახევარმცველები**
დანიელ ბერნარდი
მარკ ბენსფილდი
კლაუდიო და ლუზი
ალფონს ლევეკი
ჩარლ ლევეკი
ჟორჟე როჩა (ბრაზილია)
კრლოს ანდრე პინტუ

**თავდამსხმელები**
დანიელ და მოტა
აფუნდი ბომბელე (ბელგია)
პასკალ ფევრი (ბელგია)
ჟოზე ლოპესი (პორტუგალია)
პაულ მანონი



## პირველში პირველნი: ანჟი და აშვეთია

**მეთერთმეტე** მატჩი და მეხუთე გოლი — მიხეილ აშვეთია ფორმაში შედის. მახაჩყალის „ანჟიმ“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და თავი ისევ ქართველმა თავდამსხმელმა გამოიჩინა.

ომარ თეთრაძის გუნდმა სტუმრად „ვიტიაზს“ 1:0 აჯობა, აშვეთიამ 90-ე წუთზე შეაგდო გოლი. მაშინ, როცა ანჟელები კაცნაკლულნი იყვნენ და სამ ქულაზე ალბათ აღარც ფიქრობდნენ.

14 ტურის შემდეგ მატჩნაკლული „ანჟი“ პირველ დივიზიონს 29 ქულით ლიდერობს.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### ამხანაგური მატჩები

სინგაპური 0:1 ბაჰრეინი
მოლდოვა 2:2 სომხეთი
რუსეთი 2:1 სერბეთი
ნორვეგია 2:2 ურუგვაი
ინგლისი 2:0 აშშ
ისლანდია 0:1 უელსი

**ახალგაზრდულები (U-21)**

საფრანგეთი 1:1 პორტუგალია
შვედეთი 0:0 ჰოლანდია
გერმანია 4:0 დანია

### ევროპის U-19 ჩემპიონატი

**შესარჩევი ეტაპი**

ინგლისი 1:0 სერბეთი
პოლონეთი 0:1 ბელარუსი
იტალია 2:0 შვეიცარია
შვედეთი 1:2 საფრანგეთი

### ნორვეგია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სანდნესი 2:3 ტრისილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეგრტმა კაცობა ახსენა

## მთავარი გამოჩნდა: ჟინი, რომელიც აქამდე გვაკლდა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების დროებით თავკაცად დანიშნულმა პეტარ სეგრტმა ესტონეთთან სადებიუტო მატჩში ფრე (1:1) გამოადნო, რაც სპეციალისტებისა თუ ქომაგების ნაწილმა წარუმატებლად აღიქვა, ნაწილისთვის კი ტალინურ შედეგში სავალალო არაფერი იყო. ალალად ვთქვათ: რა უნდა შეეცვალა ხორვატ მწვრთნელს იმ შვიდ დღეში, რაც ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებს?! ილუზიებს თუ მოვიშორებთ, მაშინ ბევრიც ვერაფერი და ალბათ, არც არავინ ელოდა, რომ ესტონელების წინააღმდეგ ქართველები უწინდელისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ფეხბურთს ითამაშებდნენ. წინ მორიგი და მწარე ტესტია — ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი პორტუგალიის ნაკრები, თუმც ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტი აუღელვებლად ხვდება ამ გამოცდას და სულაც არ მიიჩნევს, რომ ესტონური თამაში გუნდმა ჩააგდო...**



— შედეგით, რა თქმა უნდა, არ ვარ კმაყოფილი იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ყველა თამაშში მოსაგებად გამყავს გუნდი — გვითხრა პეტარ სეგრტმა, გუშინ ესტონეთში რომ შევეხმიანეთ.

**— არ თვლით, რომ ესტონეთის დარ გუნდებს საქართველოს ნაკრები უნდა უგებდეს?**

— არა მარტო ესტონეთის, გაცილებით მაღალი დონის ნაკრებებსაც უნდა უგებდეს, იმხელა პოტენციალი გვაქვს და ისეთი ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. ესტონეთთან რომ ვერ მოვიგეთ, დასანანია, მაგრამ ამის ობიექტური მიზეზებიც არსებობდა.

**— კონკრეტულად რა მიზეზს დაასახელებდით?**

— პირველ რიგში, მცირე მოსამზადებელ პერიოდს. შვიდი დღეა, რაც ნაკრები ჩავიბარე და ასეთ მოკლე დროში ძნელია, იმ დონეზე აიყვანო გუნდი, რომ იდეალურად ითამაშოს. იყო უხეში შეცდომები დაცვაში, რისი გამოსწორების პირველი წამალიც ვარჯიში და შეთამაშებაა.

**— რამდენი ხანია საჭირო ამ ხარვეზების და მთლიანად თამაშის გამოსასწორებლად?**

— სულ ცოტა, ერთი თვე.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დრო გექნებათ?**

— მინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა შედეგს მიაღწიოს, ჩემს ხელში იქნება ეს თუ სხვისაში. ნაკრები რომ ჩამაბარეს, მაშინვე ვთქვი, რომ ჩემი მიზანი ხანგრძლივად დარჩენაა და ამისთვის ძალას არ დავიშურებ. ნამდვილად არ ვიცი, საბოლოოდ რა იქნება, დამტოვებენ თუ არა ნაკრებში, მაგრამ ესტონეთთან მატჩის შემდეგაც შემართებით ვიბრძვი ამისთვის. როგორც გავიგე, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ინტერვიუში თქვა, რომ ესტონეთ-პორტუგალიასთან მატჩებში რა შედეგიც არ უნდა დაფიქსირდეს, ეროვნულ გუნდში არ დამტოვებენ. სიმართლე გითხრათ, მე ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ვფიქრობ, დარჩენის შანსი არსებობს და თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის, ასეც მოხდება.

**— თქვენი აზრით, რა არის ის არგუმენტი, რის გამოც ნაკრების თავკაცად უნდა დაგტოვონ?**

— უპირველესად, ის თავდადება და საბრძოლო ჟინი, რომელიც ესტონეთთან მატჩშიც დავინახეთ. მოდით, ჯერ შედეგზე ნუ ვისაუბრებთ და იმ შემართებას შევხედოთ, რომელიც ესტონეთთან არც ერთ მოთამაშეს არ აკლდა. ბიჭები მთელი სულით და გულით იბრძოდნენ, შეცდომებსაც უშვებდნენ, მაგრამ მე მათში მონდომება დავინახე, რამაც მომავლის რწმენა ჩამისახა. მერწმუნეთ, ვარჯიშით ყველა ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებაა შესაძლებელი, მით უმეტეს, როცა შემადგენლობაში უმაღლესი კლასის მოთამაშეები და უაღრესად პერსპექტიული ახალგაზრდები გვყავს. გგონიათ, რომელიმე მოთამაშეს „შერჩა“ ესტონეთთან დაშვებული შეცდომები? მალხაზ ასათიანსაც მკაცრი შენიშვნა მივეცი, ლევან ცქიტიშვილსაც და ახალგაზრდებზე ხომ აღარც მაქვს საუბარი... ყველა გაგებით მოეკიდა ჩემს პრეტენზიებს და, დარწმუნებული ვარ, ისინი მომავალ მატჩში გაცილებით უკეთ ითამაშებენ.

**— რომელი ფეხბურთელებით დარჩით კმაყოფილი?**

— ალექსანდრე იაშვილმა ფანტასტიკურად ითამაშა. „იაშკა“ უდავოდ საუკეთესო იყო მინდორზე. არა უშავდათ ლევან ყენიას, გიორგი ლორიას, უჩა ლობჟანიძეს, გიორგი ნავალოვსკის, ირაკლი კლიმიაშვილს... ერთი სიტყვით, ახალგაზრდების მაინც კმაყოფილი ვარ. მათ განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

**— ლევან ცქიტიშვილზე რას იტყვით?**

— ინერტული იყო და შეცდომებიც დაუშვა. მისი თამაშით, რა თქმა უნდა, არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ არა მგონია, რომ ის ნაკრებისთვის დასაკარგი ფეხბურთელი იყოს. ლევანს ამ სეზონში სათამაშო პრაქტიკა აკლდა და ჩვენთანაც მხოლოდ შვიდი დღე ივარჯიშა. ვფიქრობ, ის და ნაკრების დანარჩენი გამოცდილი მოთამაშეები სექტემბრამდე კარგ ფორმაში ჩადგებიან.

**— ანუ ფიზიკური მომზადების პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ მარტო ეს ხომ არ კმარა?**

— რა თქმა უნდა, თუ სწორი სათამაშო კონცეფცია არ არსებობს, ფიზიკურად როგორი მომზადებულიც უნდა იყო, ვერაფერს გახდები. არ ვიცი, ვინ რას იტყვის, მაგრამ ესტონეთთან მატჩშიც გამოჩნდა ის ტაქტიკა, რის დამკვიდრებასაც ვაპირებ ნაკრებში. მე ჩემი ხედვა მაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი სტილით უნდა ითამაშოს საქართველოს ნაკრებმა და ამის განსახორციელებლად, ვიმეორებ, დრო მჭირდება. ესტონეთთან მატჩის ბოლო 15-20 წუთში გუნდმა შედარებით აზრიანი ფეხბურთი აჩვენა. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ მოედანზე ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები გამოჩნდნენ. მე ხომ ამ ბიჭებს კარგა ხანია, ვავარჯიშებ. მათ თამაშს ერთგვარი ხელწერა აქვს და ამას ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მივაღწიე. ხომ გახსოვთ, როგორ თამაშობდა ახალგაზრდული ნაკრები ადრე? იყო ბევრი შეცდომა და ქაოსი, მაგრამ ბოლო მატჩებში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. გამოდის, ჩემს მუშაობას ფუჭად არ ჩაუვლია და ძალიან მიხარია, რომ ამ შრომის შედეგი ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგა. რა თქმა უნდა, ილუზიას არ ვქმნი, რომ ესტონეთთან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ... მატჩის ბოლოს დადებითი მომენტები გამოჩნდა და ამაში თავისი სიტყვა ახალგაზრდული ნაკრების წევრებმაც თქვეს.

**— გამოდის, პორტუგალიასთანაც მისცემთ ახალგაზრდებს შანსს და არიან თუ არა ისეთები, რომლებიც ესტონეთიდან საქართველოში გამობრუნდებიან?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია... პორტუგალიაში წასვლამდე ვარჯიში კიდევ გვაქვს და არწასაყვანთა ვინაობასაც მერე დავასახელებ.

**— როგორი განწყობით ხვდებით პორტუგალიასთან მატჩს?**

— განწყობა შესანიშნავია. ყველას უხარია, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან უწევთ შერკინება. ჩემი აზრით, პორტუგალია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მის წინააღმდეგ თამაში დიდი სკოლა იქნება ჩვენთვის.

**— კრიშტიანუ რონალდუს მეურვეობას ვის დააკისრებთ?**

— დღეს ნამდვილად არ ვიცი, ვის დავუყენებ რონალდუს მეურვედ. მატჩამდე საკმაო დროა და ვარჯიშებზე შევხედავ, ვინ როგორ იქნება მზად. რონალდუს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნევ და ჯერ არ ვიცი, მის შეჩერებას როგორ მოვახერხებთ.

**— თამაშის ხასიათზე რას ფიქრობთ?**

— მინდა, ჩვენმა ნაკრებმა იბრძოლოს და მეტოქეს დაანახოს, რომ არაფრის ეშინია. პორტუგალია ჩვენზე გაცილებით ძლიერია, თან შინ თამაშობს და არავის გაუკვირდება მისი გამარჯვება. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმეს იოლად დავთმობთ. პირობას ვიძლევი, რომ პორტუგალასთან ბოლომდე და კაცურად ვიბრძოლებთ!

**ირაკლი პერტაია**

# დვალმა დაჩიას ისტორია დაუწერა
## 13 გოლის გამტან ქართველს მოლდოველები არაფერს ერჩიან

**მოლდოვის ჩემპიონატში რამდენიმე ქართველი თამაშობს და საკმაოდ წარმატებულადაც — „შერიფში“ ვაჟა თარხნიშვილი ყოჩაღობს, წლეულს მერვედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი, ჯაბა დვალის და ლევან კორღალიძის „დაჩიას“ კი მეორე ადგილი ერგო. დვალს ცოტა დააკლდა ბომბარდირობამდეც, 13 ბურთი შეაგდო და ერთითლა ჩამორჩა მთავარმეგოლეს. ჯაბა ახლა თბილისშია, შვებულებას აქ ატარებს და მას გუშინ გავესაუბრეთ...**



— საკმაოდ წარმატებული სეზონი გქონდა, „დაჩია“ ვერცხლის პრიზიორი გახდა, შენ კი 13 გოლი შეაგდე და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდი...

— ნორმალური სეზონი ჩავატარეთ. „დაჩია“ თავის ისტორიაში პირველად გავიდა მეორე ადგილზე და ყველანი ძალიან კმაყოფილები არიან. კარგია, რომ შევძელი გოლების გატანა, ქვეყნის ბომბარდირობამდე ცოტაღა დამაკლდა...

— ახლა „დაჩიას“ ფანების გამოკითხვა ტარდება და საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში მეორე ადგილზე ხარ...

— ძალიან სასიამოვნოა. მოლდოვაში ქართველების მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, თანაც თუ კარგად თამაშობ, მით უმეტეს, არავინ არაფერს გერჩის.

— „დაჩიასთან“ კონტრაქტი გაკავშირებს, მაგრამ ხომ არ არის შესაძლებელი, გუნდი გამოიცვალო?

— კონტრაქტში მიწერია, რომ თუ სერიოზული წინადადება მექნება, ხელს არ შემიშლიან. მაქვს რაღაც ვარიანტები, თუმც ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი.

— ლევან კორღალიძე შენი თანაგუნდელია და ის რას აპირებს?

— ლევანს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა, ყველა მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყო და მისით კმაყოფილები არიან. არა მგონია, ლევანს წასვლა სურდეს.

— მოლდოვის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ხარ და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს ხომ არ უსაუბრიათ შენთან ან რომელიმე თამაშს ხომ არ დასწრებიან?

— ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია, „დაჩიას“ თამაშზეც არავინ მინახავს. ისე, რა თქმა უნდა, ჩემი ოცნება საქართველოს ნაკრებში თამაშია და, იმედი მაქვს, შანსი მომეცემა.

— ახალი სეზონისთვის მზადებას როდის იწყებს „დაჩია“?

— უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ და მზადებასაც მალე შევუდგებით. ერთი კვირაა, შვებულებაში ვარ და 7 ივნისს უკვე იქ უნდა ვიყო.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ბერაიას დუბლი, ბოლქვაძის კინკილა, ადამიას ბრინჯაო



გიორგი ადამიამ და „ნეფთჩიმ“ მესამე ადგილი იკმარეს

**გუშინ** აზერბაიჯანის ჩემპიონატი დამთავრდა. ქართველ ლეგიონერთაგან პრიზიორთა შორის მხოლოდ გიორგი ადამია მოხვდა, რომლის „ნეფთჩიმ“ მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურის წვლილი ამ საქმეში დიდია — 9 გოლი.

ბოლო ტურში კი „ნეფთჩის“ მეტოქე არ გამოუცხადდა.

ირაკლი ბერაიას „თურანს“ სტუმრად ქულა ჰყოფნიდა „ბაკისთან“, რათა უმაღლესში ადგილი შეენარჩუნებინა და ეს ამოცანა ქართველის ძალისხმევით მოახერხა. ბერაიას დუბლით „თურანი“ მე-20 წუთისთვის 2:0 იგებდა, საბოლოოდ კი მატჩი 2:2 მორჩა.

გოლი გაიტანა დავით ბოლქვაძემაც, რომლის „სიმურგი“ შინ 1:1 ეთამაშა „ხაზარს“. ამჯერად გამთანაბრებელი გოლი ქართველისა აღმოჩნდა.

შეგახსენებთ: „სიმურგში“ ბოლქვაძესთან ერთად კახა ჩხეტიანიც თამაშობს.

ვაჟა ლომაშვილისა და ბორის გონჩაროვის „მასალიმ“ 4:1 მოუგო ლექსო ინწკირველის, გოჩა ტრაპაიძისა და რომან ახალკაცის „კარვანს“. ჩვენებურთაგან თავი არავის გამოუჩენია.

კახა ცხადაძის „სტანდარდმა“ კი შინ 3:2 მოუგო „გენჩლერბირლიის“ და ქვედა ლიგის გზას გაუყენა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩერნოგორია და კერკეტობა

**ესეც** თქვენ ჩერნოგორიის ნაკრები. ბალკანელები მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ციკლში ბარე ორ გუნდს რომ გაამწარებენ, ფაქტია და ნურც ის გაგიკვირდებათ, ჯგუფიდან გასასვლელადაც რომ იბრძოლონ.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ყაზახეთს 3:0 მოუგო. ამათთვის ვის არ მოუგიაო, იტყვით, მაგრამ... მოუგეს ერთ ტაიმში, უპირობო ლიდერ მირკო ვუჩინიჩის (ოდენ 13 წუთი ითამაშა) გარეშე და თანაც ფეხბურთი აჩვენეს კოხტა და საინტერესო.

ვუჩინიჩის არყოფნაში გამოირჩეოდნენ დრაგან ბოგავაცი, ნიკოლა დრინჩიჩი, სიმონ ვუკჩევიჩი, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა და, რა თქმა უნდა, დუბლის ავტორი რადომირ დიალოვიჩი.

დიალოვიჩმა მე-15 და 45-ე წუთებზე გაიტანა ვუკჩევიჩის პასებით, ამათ შუა კი დრინჩიჩმა 25 მეტრიდან დააქუხა. ეს ყველაფერი გაკეთდა ლამაზადაც და პრაგმატულადაც — აშკარაა, ზორან ფილიპოვიჩი კარგად მუშაობს და კერკეტი გუნდის დაყენებასაც ახერხებს.

ჩერნოგორიელებმა ყაზახების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *მ. ბოჟოვიჩი (იანუშევიჩი 67), პანუჩევიჩი, ტანასიევიჩი (ოგნიანოვიჩი 70), იოვანოვიჩი (პუროვიჩი 74), პეჟოვიჩი, დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი (პეტკოვიჩი 46), ვ. ბოჟოვიჩი (ზვეროტიჩი 60), ვუკჩევიჩი, ბოგავაცი, დიალოვიჩი (ვუჩინიჩი 77).*

შეგახსენებთ: ჩერნოგორია საქართველოს ნაკრების მეტოქეა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში და ჩვენები მათთან გაისად, 1 აპრილს ითამაშებენ.



რადომირ დიალოვიჩი

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგაში 2008 წლის ფინალური ეტაპის თამაშები იწყება



**ფინალური ეტაპის გრაფიკი:**

1991-წლიანები: 29 მაისი. „ოლიმპი“ — 35-ე სკოლა
1992-წლიანები: 30 მაისი. „ოლიმპი“ — „დინამო“
1990-წლიანები: 31 მაისი. „ლოკომოტივი“ — „ზესტაფონი“
1991-წლიანები: 2 ივნისი. „ოლიმპი“ — „ბათუმი“
1992-წლიანები: 3 ივნისი. „ოლიმპი“ — „დილა“
1990-წლიანები: 4 ივნისი. „ზესტაფონი“ — „დინამო“
1991-წლიანები: 6 ივნისი. „ბათუმი“ — 35-ე სკოლა
1992-წლიანები: 7 ივნისი. „დილა“ — „დინამო“

*ყველა თამაში „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართება*

# საქართველოს ჩემპიონატი
## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**24-ე ტური**

ჰერეთი 3:1 ალაზანი
ძიზიყი 3:0 დურუჯი
მაუდი 0:3 ზოოვეტი
ოლიმპი 3 2:5 ალგეთი
სამგორი 3:1 გარეჯი
სიონი 2 6:0 ბახტრიონი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძიზიყი | 24 | 19 | 2 | 3 | 83:20 | 59 |
| ზოოვეტი | 24 | 17 | 3 | 4 | 58:20 | 54 |
| ალგეთი | 24 | 16 | 5 | 3 | 54:21 | 53 |
| სიონი 2 | 24 | 16 | 4 | 4 | 65:23 | 52 |
| ჰერეთი | 24 | 14 | 5 | 5 | 51:19 | 47 |
| სამგორი | 24 | 11 | 4 | 9 | 47:33 | 37 |
| გარეჯი | 24 | 10 | 7 | 7 | 44:28 | 37 |
| დურუჯი | 24 | 9 | 0 | 15 | 36:51 | 27 |
| ალაზანი | 24 | 7 | 4 | 13 | 34:48 | 25 |
| ოლიმპი 3 | 24 | 6 | 5 | 13 | 35:57 | 23 |
| კახეთი 2 | 24 | 5 | 5 | 14 | 31:50 | 20 |
| მაუდი | 24 | 2 | 1 | 21 | 19:90 | 7 |
| ბახტრიონი | 24 | 1 | 1 | 22 | 16:113 | 4 |

### ცენტრალური ზონა

**24-ე ტური**

35-ეს სკოლა 3:0 გაგრა 2
აწყური 3:2 ლოკომოტივი 2
ნორჩი დინამო 4:0 ბორჯომი 2
ორბები 3:2 დუშეთი
სპარტაკი 0:3 ლიახვი
სპარტაკი 2 1:1 ამერი 3

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 24 | 20 | 3 | 1 | 69:16 | 63 |
| ორბები | 24 | 20 | 2 | 2 | 63:16 | 62 |
| სპარტაკი 2 (ცხ) | 24 | 14 | 3 | 7 | 52:33 | 45 |
| ამერი 3 | 24 | 11 | 9 | 4 | 41:19 | 42 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 11 | 4 | 9 | 41:33 | 37 |
| 35-ე სკოლა | 24 | 11 | 3 | 10 | 52:45 | 36 |
| სპარტაკი (თბ) | 24 | 9 | 4 | 11 | 30:33 | 31 |
| ბორჯომი 2 | 24 | 8 | 3 | 13 | 31:44 | 27 |
| გაგრა 2 | 24 | 7 | 4 | 13 | 31:46 | 25 |
| დუშეთი | 24 | 6 | 6 | 12 | 33:47 | 24 |
| მერანი 2 | 24 | 6 | 4 | 14 | 27:59 | 22 |
| ლიახვი | 24 | 5 | 1 | 18 | 23:69 | 16 |
| აწყური | 24 | 4 | 0 | 20 | 26:65 | 12 |

*პირველი წრის მატჩში „მერანი 2“ — „ბორჯომი 2“ ორივე გუნდს ჩათვლილი აქვს 0:3 წაგება*

### დასავლეთი ზონა

**22-ე ტური**

მაღაროელი 2 1:1 ბათუმი 2
მარგვეთი 3:0 იბერია XXI
მერანი 2 (მ) 2:2 გურია
მერცხალი 4:1 გაგრა 3
სქური 1:2 ბაია
ტორპედო 2 1:1 იმერეთი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 22 | 16 | 5 | 1 | 55:20 | 53 |
| გურია | 22 | 15 | 6 | 1 | 49:17 | 51 |
| მერანი 2 (მ) | 22 | 11 | 7 | 4 | 40:26 | 40 |
| გაგრა 3 | 22 | 9 | 5 | 8 | 35:32 | 32 |
| სქური | 22 | 8 | 5 | 9 | 32:28 | 29 |
| იბერია XXI | 22 | 7 | 6 | 9 | 22:30 | 27 |
| მარგვეთი | 22 | 7 | 4 | 11 | 41:48 | 25 |
| ბათუმი 2 | 22 | 7 | 4 | 11 | 23:40 | 25 |
| მაღაროელი 2 | 22 | 5 | 7 | 10 | 25:39 | 22 |
| მერცხალი | 22 | 5 | 7 | 10 | 20:34 | 22 |
| იმერეთი | 22 | 4 | 6 | 12 | 22:35 | 18 |
| ტორპედო 2 | 22 | 2 | 10 | 10 | 15:30 | 16 |



კრიშტიანუ რონალდუ

# მანჩესტერი ჩივის

**„მანჩესტერ იუნაიტედისა“** და „რეალის“ შუღლის ამბავი გრძელდება, მიზეზი კი კვლავ პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ გახლავთ. როგორც ირკვევა (ყოველ შემთხვევაში, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამტკიცებს), ფეხბურთელის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასაბირებლად მადრიდელებს კვლავ მიუმართავთ ისეთი ხერხისთვის, რომელმაც ინგლისის ჩემპიონი წყობიდან გამოიყვანა და ფიფაში ჩივილი განაზრახვინა.

მანჩესტერელებმა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებაც გააკეთეს:

„ჩვენი კლუბი მზარდი გაღიზიანებით ისმენდა „რეალის“ კომენტარებს კრიშტიანუ რონალდუს ყიდვის სურვილთან დაკავშირებით. არადა ფაქტია:

1. რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს.

2. ეს ფეხბურთელი არ იყიდება.

შესაბამისად, კლუბს სხვა გზა აღარ აქვს და ის აპირებს, ფიფას თხოვოს დახმარება, რათა მან აიძულოს „რეალი“, თავი დაანებოს სრულიად მიუღებელ ქცევას. ფეხბურთელის აღელვებისა და წყობიდან გამოყვანის ეს ხერხები ყოველგვარი წესის საწინააღმდეგოა და ჩვენ მომავალში მის მოთმენას აღარ ვაპირებთ“.

საქმე ის გახლავთ, რომ „რეალის“ გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა ისე ილაპარაკა, თითქოს რონალდუ უკვე მისი ფეხბურთელი ყოფილიყო. მან ახსენა ფრაზები: „ის ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონის ფაბიო კანავაროსა და დიდი ვარსკვლავების, რაულის, გუტისა და ვან ნისტელროის მხარდამხარ. ინგლისური სკოლა ასეთი ნიჭის მქონე ფეხბურთელისთვის ჩინებული იყო“.

**პაპუნა ძიდია**

# პიკანტური ამბავი

**რა კარგი** გამოგონებაა ეს ინტერნეტი. ჩეთაობა ხომ გსმენიათ? ახლანდელი ყმაწვილების საყვარელი გართობაა: კომპიუტერით ჭორაობენ, ერთმანეთს იცნობენ და არცთუ იშვიათად „ბლატაობენ“ კიდეც.

ნუ, რამდენად ბლატაობს ინგლისში მცხოვრები ესპანელი ლამაზმანი ნერეიდა გალიარდო ვერ გეტყვით (მართალი გითხრათ, არა გვგონია), მაგრამ სწორედ ინტერნეტში რომ უთხრა თანამოჭორავეებს ჩემს სიგიჟემდე შეყვარებულს კრიშტიანუ რონალდუს ცოლად უნდა გავყვეო, ფაქტია. ჰოდა, ჩვენც ამ დალოცვილი ინტერნეტიდან გავიგეთ ეს ამბავი. ჩვენ კი არა, მგონი კრიშტიანუმაც...

თურმე, ჩვენს 24 წლის ნერეიდას ხშირად უცნობებთანაც უყვარს ლაი-ლაის გაბმა.

როგორც ირკვევა, რონალდუს ქორწინების თემა მის მშობლიურ პორტუგალიაში ერთი ხანია უკვე ტრიალებს, თუმცა ჩეთში ნათქვამი რომ გახმაურდა მისმა წარმომადგენლება არ დააყოვნეს და ეს ყველაფერი ტყუილიაო, შესძახეს.

არადა, პორტუგალიური ჭორი როგორი იყო იცით? რონალდუმ, ასე თქვა, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს მოიგებს, ცოლს შევირთავო — სახეზეა ქორწინებისადმი უკიდურესად სერიოზული დამოკიდებულება.

ნერეიდას ჩეთ-ამხანაგი: „მან თქვა, რომ ქორწილის ამბავი გადაწყვეტილია, უბრალოდ თარიღია შესათანხმებელი. ის თავიანთ სურათებს გვიგზავნიდა და გვწერდა, რომ დიდებული ცერემონიალი აქვთ დაგეგმილი.

და ცოტა პიკანტურ საკითხებზეც რომ გესაუბროთ შეიძლება? აი, მაგალითად: ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამოჩხრიკეს მავანი პედრო კამპანე, ნერეიდა გალიარდოს რონალდუმდელი ბოიფრენდი და ჰკითხეს, ეგ გოგო „ისე როგორიაო“. და როგორ გგონიათ, რა უპასუხა პედრომ?

„ველური ცხოველივით არის — არ დამალა მან, ალბათ იმიტომ, რომ ასეთ თემებზე გულწრფელი საუბრისთვის კარგად გადაუხადეს — ჩვენს შორის ყველაფერი გაცნობის პირველსავე დღეს მოხდა. მისი დაყოლიება ძნელი ნამდვილად არ გახლდათ. და საერთოდაც, მას სიყვარულის საქმეში შეზღუდვები არ ახასიათებს. საერთოდ, ნერეიდამ ფეხბურთისა ბევრი არაფერი იცის, მაგრამ კაცებში მაგრად ერკვევა. დარწმუნებული ვარ, კრიშტიანუ გასაგიჟებელ დროს ატარებს“.

და კიდევ რა თქვა იცით 40 წლის პედრომ? ეგ ქალი იმიტომ მივატოვე, რომ მეტი აღარ შემეძლოო...

„კარგია, როდესაც გვერდით გყავს მშვენიერი ქალი, რომელიც სექსისთვის ნებისმიერ წუთს მზად არის, მაგრამ დგება მომენტები, როდესაც სექსსა და ფულზე აგებული ცხოვრება აღარ გინდა და მაშინ შენი გზით მიდიხარ. მეც სწორედ ეს დამემართა.

ისე კი, რას წარმოვიდგენდი, რომ ნერეიდა ასე შორს წავიდოდა. ის ფეხბურთელებში კარგად არის გარკვეული, ბევრ მათგანთან ყოფილა“.



## ძენგა დარჩა

**მცირე** ფიქრის შემდეგ ვალტერ ძენგამ „კატანიას“ მწვრთნელად დარჩენა გადაწყვიტა. სიცილიელებმა მას კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე გაუხანგრძლივეს. სილვიო ბალდინის ნაცვლად მოსულმა ძენგამ კარგად იმუშავა. მართალია, „ელეფანტის“ მაინც გვარიანი ნერვიულობა მოუხდა, მაგრამ ბოლო ტურში „რომასთან“ ყაიმით მიჯრით მეორედ შეინარჩუნა სერია A-ში ადგილი.

## ბალარდინი წავიდა

**დავიდე ბალარდინიმ** გასულ სეზონში პატარა სასწაული მოახდინა. 44 წლის სპეციალისტმა „კალიარი“ ურთულესი მდგომარეობიდან გამოიყვანა და სერია A-ში ადგილი შეუნარჩუნა. მიუხედავად ამისა, მან სარდინიელები დატოვა. მხარეები ხელფასზე ვერ შეთანხმდნენ. ამბობენ, „კალიარის“ „სასუოლოს“ ამჟამინდელი თავკაცი მასიმილიანო ალეგრი ჩაიბარებსო. სად გააგრძელებს მუშაობას ბალარდინი, ჯერ უცნობია.

## აკვილანი და რომა

**24 წლის** ნახევარმცველ ალბერტო აკვილანის თქმით, მიუხედავად მრავალი გუნდის ინტერესისა, მას „რომადან“ წასვლა არ უნდა. ნიჭიერ ცენტრალურ ნახევარმცველს ბოლო დროს „არსენალსა“ და „იუვენტუსს“ უკავშირებდნენ.

„რომაელი ვარ, „რომას“ ფანი და აქედან წასვლა არ მინდა. ვიცი, რომ ჩემი მომავალი აქ არის. კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე მაკავშირებს, მაგრამ მჯერა, ახალი შეთანხმების გაფორმება პრობლემა არ იქნება და ეს მალე მოხდება. რამდენჯერმე ვიფიქრე „რომადან“ წასვლაზე, მაგრამ ეს ძალიან რთული იქნება ჩემთვის. უცხოეთში გადაბარგების შესაძლებლობაც მქონდა, რაზეც უარი ვთქვი“ — განაცხადა აკვილანიმ.

## ბარძალიც ვოლფსბურგში

**ფინანსური** პრობლემების გამო, „პალერმოსა“ და იტალიის ნაკრების მცველ ანდრეა ბარძალის „ფიორენტინაში“ გადასვლაც ჩაიშალა და „იუვენტუსშიც“. სამაგიეროდ, გერმანულმა „ვოლფსბურგმა“ სიცილიელთა მოთხოვნებიც დააკმაყოფილა და ფეხბურთელს მაღალი ხელფასიც დაუნიშნა.

როგორც იცით, ცოტა ხნის წინ „ვოლფსბურგმა“ უკვე დაიმატა „პალერმოსგან“ ერთი მცველი — კრისტიან ძაკარდო. ასე რომ, ზაფხულში ძაკარდო და ბარძალი ერთად გაეშურებიან გერმანიისკენ.

## ამელია იტალიიდან მიდის?

**მარკო ამელია** იტალიის ნაკრების მეორე მეკარედ მოიაზრება და, ცხადია, სერია B-ში გავარდნილ „ლივორნოში“ არ დარჩება. მისი აგენტის კარლო პალავიჩინოს თქმით, ამელიათი ესპანური, ინგლისური და ფრანგული კლუბები არიან დაინტერესებულნი. პალავიჩინო მიიჩნევს, რომ ამელია კარიერას იტალიის გარეთ გააგრძელებს, მაგრამ მან ისიც აღნიშნა, თუ „რომასგან“ წინადადებას მიიღებს, დაუფიქრებლად დათანხმდება.

**ძოძი ძანძელაძე**

# ჩაო, მანჩო...



**როგორც** იქნა, დასრულდა საგა „ინტერიდან“ რობერტო მანჩინის წასვლა-არწასვლის შესახებ. მილანელთა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ახალგაზრდა სპეციალისტი თანამდებობიდან მოხსნა და „ნერაძურის“, ალბათ, ჟოზე მაურინიუს ჩააბარებს. ამბობენ, პორტუგალიელი უკვე მილანშია და მასთან შეთანხმება მიღწეულიაო, მაგრამ ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად არ დასტურდება.

მორატისა და მანჩინის შორის შეხვედრა სამშაბათს შედგა და მხოლოდ 25 წუთს გასტანა. იტალიური პრესის ცნობით, „ინტერის“ პრეზიდენტი მწვრთნელს კომპენსაციის სახით დაახლოებით 18 თვის ხელფასს, 9 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ გაბრაზებულ „მანჩოს“ ამაზე უარი უთქვამს.

ასეა თუ ისე, მორატის მანჩინისა და მის სამწვრთნელო შტაბთან განშორება იაფი ნამდვილად არ დაუჯდება. „ნერაძურის“ პრეზიდენტს „მანჩოს“ თანაშემწის სინიშა მიხაილოვიჩის, ტექნიკური ასისტენტების ფაუსტო სალსანოსა და დარიო მარკოლინის, მეკარეების მწვრთნელის ჯულიო ნუჩიარისა და ფიზმომზადების სპეციალისტის ივან კარმინატისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

„რობერტოს არ ეგონა, რომ „ინტერში“ მუშაობას ასე დაასრულებდა. ვხვდებოდი, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, მაგრამ... მანჩინი ძალიან გულდაწყვეტილია, რადგან მისი პროექტი დასრულებული არ გახლდათ. კიდევ შეეძლო სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც. ახლა მაურინიუ ჩამოვა და მან, უბრალოდ, უნდა გაიმეოროს, რასაც რობერტომ ბოლო წლებში მიაღწია. იანვრიდან მოყოლებული, „ნერაძურიზე“ ზეწოლა ერთიორად გაიზარდა, რამაც ცუდი ატმოსფერო შექმნა. „ლივერპულთან“ მარცხის შემდეგ კი გაუგებრობა მოხდა, მანჩინიმ ცხელ გულზე გააკეთა განცხადება, რაც, ჩემი აზრით, შეცდომა იყო. მაშინ მას საჯაროდ არ უნდა ეთქვა, რომ მიდიოდა. ჩაიბარებს თუ არა „ჩელსის“? რობერტო ძალიან ნიჭიერია და მისი გადაბირება ძალიან ბევრ კლუბს სურს. არ ვიცი, შესაძლოა, დასვენებაც გადაწყვიტოს, მაგრამ იმედია, მალე შემეხმიანება, რადგან დიდი პაუზა მწვრთნელებისთვის კარგი არ არის“ — თქვა „მანჩოს“ აგენტმა ჯორჯო დე ჯორჯისმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბუფონის მოტივაცია



**ტურინის** „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი „რომას“ ნახევარმცველი ალბერტო აკვილინით აღფრთოვანებულია და საყრდენის პოზიციაზე მას პოტენციურად მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევს. ჯიჯის ძალიან უნდოდა, რომ 24 წლის ფეხბურთელი „ბიანკონერიში“ გადაბარგებულიყო. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ისინი ნაკრების სხვა ფეხბურთელებთან ერთად ევრო 2008-სთვის ემზადებიან.

„ალბერტოს უდიდესი პოტენციალი აქვს და შეუძლია, როგორც ევროპის, ასევე მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალური ნახევარმცველი გახდეს. რას ვიტყვი ხაბი ალონსოს ან აკვილანის „იუვეში“ გადასვლაზე? ეს ორი, განსხვავებული სტილის კარგი ფეხბურთელია. თუმცა ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს. აკვილანი ახალგაზრდა და უაღრესად ნიჭიერია. ამბობენ, ზაფხულში ჩვენი პირველი შენაძენი ამაური იქნება. კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ვიცი, ხელმძღვანელობას გუნდის გვარიანად გაძლიერება აქვს დაგეგმილი და ეს კარგია“ — თქვა ბუფონმა.

„სკუადრა აძურას“ ნომერ პირველმა მეკარემ ისიც აღნიშნა, ევროპის ჩემპიონატის მოგება ძალიან გვინდა, უაღრესად მოტივირებულნი ვართო.

ჯანლუიჯი ბუფონი: „ვგრძნობ, რომ ხალხი ახლა პატივს მეტად გვცემს. მსოფლიოს ჩემპიონატის პერიოდს თუ შევადარებთ, დღეს განსხვავებული ატმოსფეროა და საკუთარ შესაძლებლობებში უფრო მეტად ვართ დარწმუნებულნი. იმის გამეორება, რაც ფაბიო კანავარომ, მარკო მატერაცციმ, ფაბიო გროსომ და მე 2006 წლის მუნდიალზე ჩავიდინეთ, ძალიან ძნელი იქნება. თუმცა მოტივაცია არ გვაკლია და იმედია, მთელი გუნდი დაგვეხმარება“.

ჯიჯიმ პრესკონფერენცია იმ ბურთზე კომენტარით დაასრულა, რომლითაც ნაკრებები ევრო 2008-ზე ითამაშებენ: „მისი გაკონტროლება ადვილი არ არის. ახალი ბურთები მეკარეებს საქმეს ყოველთვის ურთულებს, თუმც ვცდილობთ, ნელ-ნელა შევეგუოთ“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ამას ვერ ისწავლი



**ამბობენ, „ჩელსიმ“ მთავარ მწვრთნელად „ინტერის“ უკვე ყოფილი თავკაცის, რობერტო მანჩინის მოწვევა გადაიფიქრაო, მაგრამ ჯეიმს ჰორნკასლი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ამისა, „მანჩო“ და ზოგადად იტალიელი მწვრთნელები მსოფლიოში საუკეთესონი არიან და ეს ბევრს ნიშნავს, ამას ვერ ისწავლი...**

როცა რობერტო მანჩინი „ინტერის“ სათადარიგოთა სკამის ერთ მხარეს იჯდა, მითქმა-მოთქმა და ჭორები მეორე მხარეს იყვნენ მოკალათებულნი. ეს ყველაფერი ტალღას ჰგავს, რომელიც აბობოქრდება და მერე ენარცხება. ასე გრძელდება „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ ყოფილი მწვრთნელის მთელი კარიერის განმავლობაში. მანჩინი წარმატებულიცაა და ამავე დროს, წარუმატებელიც.

ასეა თუ ისე, რასაც უნდა ფიქრობდეთ მანჩინის უცნაურ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებზე, მის კონფლიქტებზე ვარსკვლავებთან და შარფების ხმარების საშინლად უგემოვნო სტილზე, იგი ნამდვილად იმ ჯგუფის წევრია, რომელსაც თამამად შემიძლია ვუწოდო იტალიელი მწვრთნელების მორიგი „ოქროს თაობა“. მანჩინი ამ ჯგუფს შეუერთდა და ისეთივე ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტად ითვლება, როგორც ლუჩანო სპალეტი, ჩეზარე პრანდელი და ვალტერ მაცარი.

სპალეტის საფეხბურთო ხედვა შეუდარებელია. მისეული 4-2-3-1 საოცრად ეფექტური გამოდგა და ბევრმაც გადაიღო, უპირველესად, ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“. 49 წლის სპეციალისტმა ნახევარი ძალით აჯობა მანჩინის და მისმა „რომამ“ ლამაზი ფეხბურთით „ნერაძური“ აშკარად დაჩაგრა. მართალია, სკუდეტო მაინც მილანელებს დარჩათ, მაგრამ „გლადიატორებმა“ იტალიის ორი თასი მიჯრით მოიპოვეს და საგრძნობ პროგრესს განიცდიან, მათი არცთუ დიდი ბიუჯეტის გათვალისწინებით. ეს ევროსარბიელზეც კარგად ჩანს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ჩეზარე პრანდელის მიღწევებიც „ფიორენტინაში“, „რომაზე“ გაცილებით ნაკლები ბიუჯეტით. „პარმასა“ და „ვერონას“ ყოფილ მწვრთნელს არსენ ვენგერს ადარებენ. მას ფრანგის დარად უყვარს უმაღლეს დონეზე ახალგაზრდებისთვის შანსის მიცემა და მათი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება. მის ხელში გამოიარეს ლუკა ტონიმ, ადრიან მუტუმ, ადრიანომ, ალბერტო ჯილარდინომ... მიმდინარე სეზონში უეფას თასზე „იების“ კარგი გამოსვლა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მოპოვებული საგზური მწვრთნელზე თავისთავად მეტყველებს. სპალეტის დარად, ჩეზარეც და მისი გუნდიც საგრძნობლად იზრდებიან და „იები“ სანახაობრივ ფეხბურთსაც თამაშობენ.

ვალტერ მაცარიმ თავისი ხასიათით „სამპდორია“ მნიშვნელოვნად გააძლიერა და გუნდს უეფას თასის საგზურიც შთამბეჭდავ სტილში მოუტანა. გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე მიღწევა 2006-2007 წლების სეზონში, როცა მიუხედავად 11-ქულით დაჯარიმებისა, „რეჯინა“ უპრობლემოდ დატოვა სერია A-ში და დაკლებული ქულები რომ არა, ვინ იცის, რომელ ადგილზე დაასრულებდნენ რეჯოკალაბრიელები ჩემპიონატს. 46 წლის მწვრთნელი იმიტომაც უნდა დავაფასოთ, რომ ანტონიო კასანოს სწორი მიდგომა გამოუძებნა და „ხულიგანი“ საუკეთესო ფორმაში დააბრუნა. ასევე, საშუალო დონის ფეხბურთელები, რომლებსაც ბევრი არც იცნობდა, მაღალი კლასის მოთამაშეებად აქცია, მაგალითად — კრისტიან მაჯო.

ინგლისურ ფეხბურთს უნდა შურდეს იტალიური სამწვრთნელო სკოლისა. ამწუთას პრემიერლიგაში მხოლოდ 9 ინგლისელი სპეციალისტია, სერია A-ში კი ოცივე იტალიელია. პრემიერლიგაში საუკეთესო ოთხეულიდან სამს შოტლანდიელი, ესპანელი და ფრანგი წვრთნიან. „ჩელსის“ კი ამჟამად თავკაცი არ ჰყავს, მაგრამ მერწმუნეთ, ამ პოსტს ინგლისელს არ ჩააბარებენ.

გასულ სერია A-ში მწვრთნელი 15-ჯერ შეიცვალა და აქედან 14-ჯერ პოსტი იტალიელებმა დაიკავეს. მოხდებოდა მსგავსი ფაქტი პრემიერლიგაში? არა მგონია. ეს სამწუხაროა, რადგან რაც მეტ ინგლისელ სპეციალისტს მიეცემოდა მუშაობისა და გამოცდილების მიღების საშუალება, მით უფრო დაიხვეწებოდა და გაძლიერდებოდა უშუალოდ ინგლისური ფეხბურთი.

ცინიკოსებმა შეიძლება გაიცინონ და იტალიური კლუბების ევროსარბიელზე არცთუ კარგი გამოსვლა გაიხსენონ, მაგრამ მომავალი იტალიას ბევრად უფრო კარგი უჩანს, ვიდრე ინგლისს. ტექნიკური მონაცემები და ნიჭი, როგორც წესი, საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს ფინანსურ ძალაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე.

**ჯეიმს ჰორნკასლი**

# პორტუ ლიგის მიღმა?

**პორტუგალიის** ჩემპიონი „პორტუ“, იმის გამო, რომ 2003-2004 წლების სეზონში მსაჯები მოისყიდა, ექვსი ქულის მოკლებით დასაჯეს. უეფას თქმით, შესაძლოა, „დრაკონებმა“ მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში ადგილი დაკარგონ. გამოძიება უკვე დაწყებულია.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი პრობლემების გამო „მილანი“ 2006-2007 წლების სეზონში მოკვეთეს ჩემპიონთა ლიგიდან. თუმცა „როსონერიმ“ აპელაცია მოიგო და საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებულიც გახდა.

„პორტუს“ გარდა ჩემპიონთა ლიგის საგზურები ლისაბონის „სპორტინგმა“ და „გიგარაეშმაც“ მოიპოვეს. თუ უეფა „დრაკონებს“ ტურნირზე არ დაუშვებს, მათ ადგილს ალბათ პორტუგალიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული „ბენფიკა“ დაიკავებს.

**კოკი კანდელაკი**

# კეთილი კაცი კლინიკაშია



პოლ გესქოინი

**რამდენიმე** დღის წინ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შებრუნებული ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა პოლ გესქოინი კლინიკის სხვა პაციენტებისთვის უთვალავ საჩუქარს, ტკბილეულსა და ყვავილებს ყიდულობდა, მისი ექიმები კი ამბობდნენ, რომ ყოფილი ვარსკვლავის ასეთი ქცევა მაინცდამაინც არ ახარებდათ.

„ის სხვა პაციენტების მდგომარეობით გახლავთ შეწუხებული და ყველა ღონეს ხმარობს, მათ თავი ბედნიერ ადამიანებად რომ აგრძნობინოს — თქვა ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პანსიონის ერთ-ერთმა თანამშრომელმა — ჩვენ კი ვურჩევთ, რომ ამას სჯობს, მეტი ყურადღება საკუთარ პრობლემებს დაუთმოს. სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ჩვენს რჩევას ყურად არ იღებს“.

და აი, სამწუხარო შედეგიც: გამოწერის შემდეგ გესქოინს ავადმყოფობა შეუბრუნა. გამწვავება კვლავ სასტუმროში მოხდა. მისი ქცევით შეშინებულმა და შეწუხებულმა დამსვენებლებმა პოლიციას გამოუძახეს.

შეგახსენებთ, რომ გაზა ლოთია, რომელსაც მანიაკალური დეპრესია სჭირს და ახლა კვლავ კლინიკაშია.

პოლიციელი: „ჩვენ დასავლეთ ლონდონში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში გამოგვიძახეს. შეტყობინების მიხედვით, 40 წლის კაცი პრობლემებს ქმნიდა. რომ მივედით, საქმეში გავერკვიეთ და შესაბამისმა ოფიცრებმა ავადმყოფი კლინიკაში წაიყვანეს“.

**პაპუნა ძიძია**

# დაგენიშნეთ ხუთი ტურით ადრე


ავრაამ გრანტი

**ავრაამ გრანტმა** თქვა, ჟოზე მაურინიუ დროულად რომ გაეშვათ, „ჩელსის“ ჩემპიონის ტიტულს მოვაგებინებდიო — ლონდონელთა აწ უკვე თავადაც ყოფილმა მწვრთნელმა „ლურჯები“ მეექვსე ტურში, მეხუთე ადგილიდან ჩაიბარა.

„დაბეჯითებით გეუბნებით — განაცხადა ისრაელის ნაკრების ოდინდელმა თავკაცმა — „ჩელსის“ სეზონის დასაწყისიდანვე ისე რომ ეთამაშა, ბოლოში რომ ითამაშა, უეჭველად აჯობებდა „მანჩესტერ იუნაიტედს“.

მოგეხსენებათ, გრანტი „ჩელსის“ მაპატრონემ რომან აბრამოვიჩმა თანამდებობიდან შაბათს მოხსნა.

„ბოლო სამი თვის განმავლობაში მოსაწყენ გუნდს ნამდვილად ვერავინ გვიწოდებდა — განაგრძო მოხსნილმა სპეციალისტმა, რომელსაც შედეგებთან ერთად სტილიც დაუწუნეს — თან, თავიდან „ჩელსისგან“ გამარჯვებებს არავინ ელოდა, რადგან მე რომ გუნდს სათავეში ჩავუდექი, ის პრემიერლიგის ცხრილში მეხუთე იყო და ჩემპიონთა ლიგაშიც „რუსენბორგთან“ ფრე ჰქონდა ახალი ნათამაშევი. მაშინ ვინმესთვის რომ გეთქვა, ინგლისში მეორე ადგილზე გავალთ და მოსკოვურ ფინალსაც მივაღწევთო, არ დაგიჯერებდათ. და მაინც, ჩემი თანამდებობიდან მოხსნისთვის არავის ვემდური. რომანი ჩემი ახლო მეგობარია“.

**პაპუნა ძეძია**

# ანჩელოტი და რომანი



**რომან აბრამოვიჩი** მსოფლიო ფეხბურთის გამოჩენილ წარმომადგენლებს რჩევას სთხოვს: ვინ უნდა იყოს „ჩელსის“ მომავალი მწვრთნელი?

საინტერესო რამ გაიგო გაზეთმა „სანმა“: თურმე აბრამოვიჩი ორშაბათს, ჟენევაში „მილანის“ თავკაც კარლო ანჩელოტის შეხვედრია, ოღონდ თანამდებობა კი არ შეუთავაზებია, რობერტო მანჩინიზე, ფრანკ რაიკარდსა და მიქაელ ლაუდრუპზე აზრი უკითხავს. რამდენადაც ცნობილია, ერთი კვირის წინ, მოსკოვში, ჩუკოტკის გუბერნატორს ასეთივე საუბრები ჰქონდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან — ისინი ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ 45 წუთით შეხვედრიან ერთმანეთს.

კიდევ, „ჩელსის“ მომავალი მწვრთნელის თანამდებობაზე თურმე ამ გუნდის ყოფილ ფეხბურთელს, მარკ ჰიუზსაც განიხილავენ.

და კიდევ, გრანტის ასისტენტი, ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატე „ჩელსიში“ დარჩება. მან ეს ჟურნალისტებსაც უთხრა:

„პიტერმა (კინიონმა) დამირეკა და მითხრა, რომ მე ხელს არავინ მახლებდა, არადა, კლუბს სულ სამი ვარიანტი აქვს: ახალმა მწვრთნელმა შეიძლება თავისი ხალხი მოიყვანოს; ახალმა მწვრთნელმა ასისტენტებად მე და სტივ კლარკი დაგვტოვოს და ახალი მწვრთნელი თავად მე ან სტივი გავხდეთ“.

**პაპუნა ძეძია**

# საფეხბურთო ლეგენდები

## გიორგი ჭაჭაბაძე

### ლეგენდა №3

## ათასიანთა კლუბი

ფეხბურთში პროფესიული კარიერის განმავლობაში 1000 და მეტი გოლის გატანა ურთულესი საქმეა, მით უმეტეს, თანამედროვე პერიოდში. თუმცა არის რამდენიმე ფეხბურთელი, რომელმაც ამ უნიკალურ შედეგს მიაღწია. ოფიციალურად ფიფა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ფეხბურთის მეფედ წოდებულ და აღიარებულ ლეგენდარულ ბრაზილიელ პელეს, რომელსაც დიდი წარდგენა არ სჭირდება, 1000-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი (არაოფიციალური მონაცემებით — 1280 გოლი 1363 შეხვედრაში).

რამდენიმე არაოფიციალური წყაროს მიხედვით კი, ამ მხრივ რეკორდსმენი ასევე ბრაზილიელი გოლეადორი არტურ ფრიდენრაიხია, რომელსაც 1200-ზე მეტ მატჩში 1329 გოლი აქვს გატანილი. იგი ერთ-ერთი პირველი შავკანიანი მოთამაშეა, რომელმაც საფეხბურთო სამყაროში სახელი გაითქვა.

ფრიდენრაიხი, რომელსაც მეტსახელად „ვეფხვს“ ეძახდნენ, 1892 წლის 18 ივლისს სან პაულუში დაიბადა. მისი მამა გერმანელი ემიგრანტი ოსკარი, ხოლო დედა — აფრო-ბრაზილიელი მატილდა გახლდათ.

ეროვნულ ნაკრებში მან 22 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა. ორჯერ გახდა კოპა ამერიკას გამარჯვებული. 1930 წელს „ვეფხვი“ უკვე 38 წლის იყო და მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე არ წაიყვანეს.

ფრიდენრაიხმა კარიერა 1935 წელს „ფლამენგოში“ დაასრულა, როცა 43 წლის იყო. იგი 1969 წლის 6 სექტემბერს 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჩვენამდე მოსული ცნობებით, 756 მატჩში 1006 გოლი აქვს გატანილი ვენის „რაპიდის“ ლეგენდას ფრანც „ბიმბო“ ბინდერს. საშუალოდ — 1,33 გოლი შეხვედრაში. იგი ოთხჯერ გახდა ავსტრიის ჩემპიონი და სამჯერ — ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი.

ავსტრიის ნაკრებში მან 19 მატჩში 16 გოლი შეაგდო. გერმანიის ნაკრებში კი ცხრაჯერ ითამაშა და თავი ათჯერ გამოიჩინა. 1941 წელს „ბიმბომ“ „რაპიდთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონატშიც იმარჯვა. ფინალში „შალკესთან“ 4:3 მოგებულ შეხვედრაში ბინდერმა 3 გოლი გაიტანა.

სათამაშო კარიერის დასრულების მერე, „ბიმბო“ მწვრთნელი გახდა. იგი „რეგენსბურგს“, პსვ-ს, „ნიურნბერგს“, „მიუნხენსა“ და „რაპიდს“ თავკაცობდა. ბინდერი 1989 წლის 24 აპრილს 77 წლისა გარდაიცვალა.

ახლახან, ათასიანთა კლუბს ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი რომარიო შეუერთდა. მან თავისი მეათასე გოლი 2007 წლის 20 მაისს მშობლიური „ვასკუ და გამას“ მაისურით „სპორტ რესიფეს“ პენალტით გაუტანა. ამ მომენტს ისე ელოდნენ, რომ შეხვედრა 20 წუთით შეწყდა, მინდორი ჟურნალისტებითა და ქომაგებით გაივსო. 1966 წლის 29 იანვარს დაბადებული რომარიო დე სოუზა ფარია იქვე აკეთებდა კომენტარებს და იღებდა მილოცვებს.

რომარიოს ფიფამაც მიულოცა მეათასე გოლი, მაგრამ აღნიშნა, ოფიციალურად, პროფესიულ დონეზე მხოლოდ 929 ბურთი აქვს გატანილი, 77 — ახალგაზრულ ფეხბურთში, დანარჩენი კი ამხანაგურ მატჩებშიო.

ბრაზილიის ნაკრებში მას 85 მატჩი აქვს ჩატარებული და 71 გოლი გატანილი (უკეთესი შედეგით მხოლოდ პელე დაიკვეხნის). მრავალი ტიტულისა და ჯილდოს მქონე რომარიომ კარიერა ოფიციალურად 2008 წლის 15 აპრილს დაასრულა.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 1000-ზე ბევრად მეტი გოლი ლეგენდარულ გერმანელ თავდამსხმელ გერდ მიულერსაც აქვს გატანილი.

### ლეგენდა №36

## ოქროს ქალღმერთის მოტაცება

1966 წლის 20 მარტს, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, სენსაციური და შოკისმომგვრელი ინფორმაცია გავრცელდა — გაიტაცეს „ოქროს ქალღმერთი“. „ნიკე“, რომლის გულისთვისაც პლანეტის უძლიერესი ნაკრებები ერთმანეთს უშელავათოდ ეომებოდნენ და რომელზეც უბრალო ქურდები და გერმანელ-იტალიელი ფაშისტები ადრეც ნადირობდნენ, მაგრამ ხელში ვერაფრით ჩაიგდეს.

არადა, „ნიკე“, რომელიც 8 წლის განმავლობაში ბრაზილიელთა ხელში იყო, ლონდონში დიდი სიფრხილით, სათუთად ჩაიტანეს, მაგრამ ის სწორედ მაშინ გაქრა, როცა თითქოს არანაირი საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ინგლისელები იქამდე არნახული, გრანდიოზული დახვედრისა და ორგანიზების პირობას დებდნენ, მაგრამ „ოქროს ქალღმერთი“ ლონდონის ვესტმინსტერის სასახლიდან, პარლამენტის ცხვირწინ, დღისით-მზისით გაქრა.

საქმეში ცნობილი სკოტლენდ იარდიც ჩაერთო. ეს ჩვეულებრივი ქურდობა და უბრალოდ ძვირფასი ნივთი ხომ არ გახლდათ. სასწორზე ინგლისის პრესტიჟი იდო. ვინ იცის, რა მოხდებოდა, „პიკლზს“ რომ არ ეყოჩაღა.

„პიკლზი“, რაც ქართულად „ცუღლუტს“ ნიშნავს, მავანი დევიდ კორბეტის ძაღლი იყო. მან ლონდონის გარეუბან ნორვუდში, თავისი პატრონის ბაღში, გაზეთში გახვეულ, თოკით შეკრულ „ნიკეს“ მიაგნო. ეს მოხდა „ოქროს ქალღმერთის“ გატაცებიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ. ასე გადაურჩა ინგლისი სირცხვილს...

სკოტლენდ იარდის ვერსიით, საყოველთაო განგაშის ატეხვის შემდეგ, ქურდს დაჭერის შეეშინდა და თავიდან მოიშორა ძვირფასი, მაგრამ მისთვის გამოუსადეგარი ნივთი.

### ლეგენდა №37

## რადიოზღაპარი

1968 წლის ივნისში ბრაზილიის ნაკრები მიუნხენში პოლონეთს ხვდებოდა. ამ მატჩის რადიორეპორტაჟს ბრაზილიაშიც ისმენდნენ. ტექნიკური პრობლემების გამო გადაცემა სამი წუთით შეწყდა.

მიუხედავად ამისა, სან პაულუს რადიოს ერთ-ერთმა კომენტატორმა რეპორტაჟის „გაგრძელება“ ითავა. მთელი იმ სამი წუთის განმავლობაში, როცა მიუნხენიდან არაფერი ისმოდა, მდიდარი ფანტაზიის მქონე კომენტატორი გულმოდგინედ აღწერდა ჟაირზინიოს გარღვევებს, ტოსტაოს ფინტებს, მეკარე ფელიქსის ნახტომებს და ასე შემდეგ. მსმენელებიც დიდი ინტერესით უგდებდნენ ყურს ამ „რადიოზღაპარს“.

ნამდვილი რეპორტაჟის განახლების მერე, მავანმა კომენტატორმა გაიგო, რომ იმ სამ წუთში რიველინომ პოლონელებს კინაღამ გოლი გაუტანა და შვებით ამოისუნთქა. ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა მას გაუხარდა, რომ ბრაზილიამ მეტოქეს გოლი ვერ გაუტანა.

სხვათა შორის, ის შეხვედრა ბრაზილიამ 0:1 წააგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატალონიელთა სამომავლო გლები და სერხიო გარსია

**„ბარსელონას“** მმართველი საბჭო შეუსვენებლივ შრომობს, რათა „კამპ ნოუზე“ სამომავალსეზონოდ ისეთი შემადგენლობა შეკრიბოს, კატალონიურ გუნდს წარმატებები რომ დაუბრუნოს. მას შემდეგ, რაც სეიდუ კეიტას და ხერარდ პიკეს ოფიციალური პრეზენტაციები შედგა, კლუბის მმართველებმა ყურადღება სხვა სამომავლო ფეხბურთელებს მიაპყრეს.

ჩიკი ბეგირისტაინი ორიოდე დღის წინ გერმანიაში გახლდათ. „ბარსას“ სპორტული დირექტორი კაიზერსლაუტერნში ჩავიდა, სადაც გერმანიის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში ბელარუსის ეროვნულ გუნდს ერკინებოდა. ჩიკი ალემანთა ქვეყანაში მატჩის, ან რომელიმე გერმანელი ფეხბურთელის სანახავად როდი იყო. ბარსელონელ დიდმოხელეს ბელარუსის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველ ალექსანდრ გლებთან შეხვედრა უნდოდა, ვინც „ბარსას“ მომავალი მწვრთნელის, პეპ გვარდიოლას ერთ-ერთი ფავორიტია.

ბეგირისტაინმა ნაყოფიერად იმუშავა და მატჩამდე სლავ მოთამაშესთან საქმიანი მასლაათი მოასწრო. საუბარში სპორტულმა დირექტორმა გლებს ბარსელონელთა სატრანსფერო ინტერესების შესახებ განუცხადა. ფეხბურთელმა კი თქვა, რომ საინტერესო შემოთავაზებით რამდენიმე იტალიურმა კლუბმა, მათ შორის „ინტერმა“ მიმართა, მაგრამ გლები სხვაზე უწინ მაინც „ბარსელონას“ ვარიანტს გაითვალისწინებს.

კატალონიური „სპორტის“ ცნობით, ჩიკის გერმანული სტუმრობა შეგვიძლია „ბარსელონას“ მიერ გლებთან გაფორმებულ წინასწარ ხელშეკრულებად ჩავთვალოთ. ახლა „ბარსა“ „არსენალთან“ იწყებს მოლაპარაკებას, რათა კონტრაქტის საქმე საბოლოოდ მოგვარდეს. ალექსანდრ გლებმა ადრე „მეთოფეთა“ კლუბის დატოვების და კატალონიაში გადასვლის სურვილი საჯაროდ გამოთქვა და ხუან ლაპორტას ბანაკიც შეეცდება, ამ სიტუაციიც ისარგებლოს. სავარაუდოდ, „ბარსა“ სლავში 20 მილიონ ევროს გადაიხდის. თავის დროზე, „არსენალმა“ გლები გერმანული „შტუტგარტიდან“ 15 მილიონ ევროდ იყიდა.

ბელარუსი გვარდიოლას ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის გასაძლიერებლად სჭირდება. გლები ორივე ფეხით ერთნაირი სიმძლავრით ურტყამს, ტექნიკურია, შრომას არ გაურბის და ფიზიკური მონაცემებით ლუის ენრიკეს წააგავს.

ალექსანდრ გლები „მეთოფეთა“ უფროსის, არსენ ვენგერის ერთ-ერთი გამორჩეული ფალავანია და „არსენალის“ თითქმის ყველა მატჩში თამაშობს. თუმცა „კამპ ნოუზე“ ამ ფეხბულთელს მეგოლეობას ვერ მოსთხოვენ. გლები ინგლისში მეტოქეთა მეკარეებს იშვიათად ამწარებს ხოლმე.

ბელარუსი და მისი კატალონიელი თანაგუნდელი სესკ ფაბრეგასი გასული წლის ნოემბერში ბარსელონაში იყვნენ სტუმრად. ამბობენ, რომ გლების კატალონიური სიმპათიები მნიშვნელოვანწილად სესკმა წააქეზა, რომელსაც სლავთან მშობლიური ქალაქის და ოდინდელი გუნდის რეკლამა არ დაზარებია.

„მეთოფეთა“ მეომართან ერთად „ბარსელონას“ წევრად მალე, შესაძლოა, „სარაგოსას“ ფეხბურთელი სერხიო გარსიაც იქცეს. კატალონიელები მოლაპარაკებას გარსიას აგენტ მახიკო დიასთანაც მართავენ და არაგონულ კლუბთანაც, რომელიც წლეულს სეგუნდადივიზიონში გავარდა. „სარაგოსა“ დაქვეითდა, თუმცა ამას სერხიო გარსიასთვის თავის გამოჩენაში ხელი არ შეუშლია და ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა არაგონელი ფორვარდი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ეროვნულ გუნდში გამოიძახა.

„სარაგოსას“ უფროსობა კარგად ხვდება, რომ სეგუნდაში ჩავარდნის გამო სერხიო გარსიასთან ერთად კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ფეხბურთელს დაკარგავს — „ჯოჯოხეთში“ (ესპანეთში სეგუნდადივიზიონს ასე ეძახიან) ბურთაობა არავის მოსწონს და თან ელიტური კლუბებიც ხომ აქვე არიან ჩასაფრებულნი. არაგონელთა მიზანია, ძვირადღირებული მოთამაშეები გუნდიდან თანდათანობით გაუშვან და გულშემატკივრებს „ჯოჯოხეთიდან“ ამოსვლის კონკრეტული გეგმა შესთავაზონ.

„ლა რომარედადან“ ფეხბურთელთა გადინება სავარაუდოდ ორ კვირაში დაიწყება. სერხიო გარსიას ბარსელონელები ალბათ 10 მილიონ ევროდ იყიდიან, თუმცა, როგორც „მარკა“ გვამცნობს, მოლაპარაკებას სერიოზული შედეგი ჯერ არ მოუტანია. თუმცა ის, რომ ესპანეთის ნაკრების ფორვარდს თავის ძველ „კამპ ნოუზე“ დაბრუნება უნდა, „ბარსელონას“ სასარგებლოდ იმოქმედებს.

სერხიო გარსიას კლუბში მიყვანა პრეზიდენტ ლაპორტას უშუალოდ გვარდიოლამ სთხოვა. მომავალი მწვთრნელის მიზანია, „ბარსაში“ „კანტერას“ (ადგილობრივი საფეხბურთო სკოლა) აღზრდილებს თავი მოუყაროს და გარსიაც ამ მხრივ ერთ-ერთი „პირველი მერცხალი“ იქნება. დღეს ესპანურ და ევროპულ კლუბებში „ბარსელონას“ „კანტერას“ აღზრდილი ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს. გვარდიოლას მათი ერთად თავმოყრა და სამომავალსეზონოდ „ბარსას“ შემადგენლობის ძირითადი ბირთვის „კატალონიური სისხლით“ დაკომპლექტება სურს.



ალექსანდრ გლები

დაბრუნებულთაგან პირველი „მანჩესტერიდან“ გამოსყიდული ხერარდ პიკე გამოდგა, მეორე კი ალბათ სერხიო გარსია იქნება. ეს ფეხბურთელი 24 წლისაა და 2003-04 წლების სეზონში „ბარსას“ მთავარ გუნდში 4 მატჩი ჩაუტარებია. ასევე მონაწილეობა მიუღია უეფას თასის შეხვედრებში, თუმცა გოლის გატანა მატჩში ვერ შეძლო. 2004 წელს გარსია „ლევანტეში“ გადავიდა, იქიდან კი, 2005-06-ის კამპანიაში „სარაგოსას“ მიაკითხა.

სერხიო გარსიას დებიუტი ესპანეთის ნაკრებში ჯერ არ შემდგარა, თუმცა ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშის გამოცდილება აქვს. „სარაგოსას“ ფეხბურთელი ევროპის ცხრამეტწლამდელთა პირველობის ჩემპიონია და დიდი გამარჯვების ფასიც იცის.

**ლადო ხომერიკი**

# ექვსს დაამატეთ ხუთი და გადაიკიდეთ ევროპა



მსოფლიოსა და ევროპის ფეხბურთის მამები ზეპ ბლატერი და მიშელ პლატინი

**ევროკომისიამ** მხარი უეფას დაუჭირა. მოგეხსენებათ, „ბებერ კონტინენტზე“ ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ეგრეთ წოდებული „ადგილობრივი ფეხბურთელების წესი“, რომელიც ევროკავშირში ფიფას გეგმას ურჩევნიათ — ოღონდ ის არაო და ამას ეთანხებიან.

ასეთი რა დრაკონული კანონი მოიგონა ფიფამ და მისმა პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა? ამ კანონის ამბავი „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება: ბლატერს სურს, თითოეულ ევროპულ გუნდში მოედანზე ერთდროულად ხუთ უცხოელ მოთამაშეზე მეტი არ იყოს. სხვა სიტყვებით, ფიფა 6 პლუს 5-ს გვთავაზობს, რაც ევროკავშირში ადამიანთა უფლებების შეზღუდვად მიაჩნიათ.

ევროკავშირის სპორტულმა კომისიონერმა იან ფიგელმა როიტერთან სატელეფონო ინტერვიუში თქვა:

„ინტენსიური განხილვებისა და საკითხის სიღრმისეული ანალიზის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ უეფას „ადგილობრივ ფეხბურთელთა“ წესი ევროკავშირის ძირეულ პრინციპებს, კერძოდ კი მუშა ხელის შეუზღუდავად გადაადგილების კანონს არ ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ფიფას, მე ამ ორგანიზაციისთვის გზა არ მისწავლებია, მაგრამ ერთი აშკარაა, რომ ის, რაც მათ ამწუთას მაგიდაზე უდევთ, მშრომელთა უფლებების აშკარა დისკრიმინაციას მოიცავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფიფას წესს უეფას წესი სჯობს, მაგრამ ზეპ ბლატერთან მაინც უნდა განვაგრძოთ ინტენსიური თანამშრომლობა“.

თავის მხრივ, უეფას „ადგილობრივ ფეხბურთელთა წესიც“ ქვოტას აკანონებს, ყველა კლუბს ავალდებულებს, ჰყავდეს დადგენილი რაოდენობის ადგილობრივი მოთამაშე, მაგრამ ამ მოთამაშეთა ეროვნებაზე საუბარიც არ არის. სხვა სიტყვებით, უეფას წესი არ ეწინააღმდეგება რომელიმე კლუბის მიერ ბავშვის საზღვარგარეთ ყიდვას და მის თავის სკოლაში აღზრდას, ფიფა კი სწორედ „ბავშვებით ვაჭრობის“ წინააღმდეგია. მას უნდა, ყველა თავისი დაბადების ადგილზე განვითარდეს და ჩამოყალიბდეს.

ერთი სიტყვით, ჩამოყალიბებული კონფლიქტის წინაშე ვდგავართ. მეტსაც გეტყვით, ზეპ ბლატერი თავისი გეგმის სიდნეის კონგრესზე გატანას აპირებს, ვინაიდან იცის, რომ ფიფას აღმასკომი მას უჭერს მხარს.

უეფას წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ ბლატერი თავის „6 პლუს 5“ ევროპისთვის მაინც მოუნახავს შემსუბუქებულ ვარიანტს.

მოვლენები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვითარდეს:

ფიფამ მიიღოს „6 პლუს 5“ და ამით გადაიმტეროს ევროკავშირი და სავარაუდოდ უეფაც;

ფიფამ მიიღოს „6 პლუს 5“, ოღონდ უეფას გარეშე;

ფიფამ მიიღოს უეფას „ადგილობრივი ფეხბურთელის წესი“;

ფიფამ საკითხის გარჩევა გადადოს.

კონგრესი პარასკევსაა.

**პაპუნა ძიძია**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**ამერიკა (მექსიკა) 1:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

0:1 ბოლანიოსი (62), 1:1 ესკედა (72)
ამერიკა: ოჩოა, ხ. კასტრო, ო. როხასი, ქ. სანჩესი, ს. დომინგესი, ინიგო (ჯ. ლოპესი 67), ვილია, არგუეიო (ფ. იგუაინი 46), ხ. სილვა, ს. კაბანიასი, ესკედა (რ. ნუნიესი 85)
მწვრთნელი: ხუან ანტონიო ლუნა
ლიგა დე კიტო: სევალიოსი, ამბროსი, კაიე, ხ. კამპოსი, ნ. არაუხო, მანსო (ც. არაუხო 80), გერონი (ბ. კამაჩო 90), პ. ურუტია, ვერა, ბოლანიოსი, ბიელერი (ა. დელ გადო 82)
მწვრთნელი: ედგარდო ბაუსა
გაფრთხილება: ვილია, მანსო, კაიე, ბიელერი, ც. არაუხო
გაძევება: დომინგესი (73), ბოლანიოსი (73)
მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)
100 000 მაყურებელი

# ლიგა დეპორტივა ფინალს მიუახლოვდა



**კიტოს** „ლა ლიგა დეპორტივა უნივერსიტარიამ“ ლიბერტადორესის თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მექსიკურ „ამერიკასთან“ ფრე გააზერხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკვადორული კლუბი ტურნირის ფინალში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

„ლიგა დეპორტივა“ 63-ე წუთზე ლუის ბოლანიოსმა თავური დარტყმით დააწინაურა, როცა მოედნის მარჯვენა ფლანგზე ხოფრე გერონის მიერ წამოწყებული შესანიშნავი კომბინაცია დააგვირგვინა. თუმც ეკვადორელთა სიხარული ენრიკე ესკედამ ათიოდ წუთში ჩააქრო, როცა საპასუხო გოლი ასევე თავურით გაიტანა. ანგარიში შემდეგ აღარ შეცვლილა და 3 ივნისს კიტოში ჩასულ მექსიკელებსაც მტრულად განწყობილ არენასა და მაღალმთიან გარემოში უჟანგბადობასთან ბრძოლა ერთდროულად მოუწევთ. მოკლედ, „ამერიკას“ გვარიანი ჯაფა დაადგება.

„აცტეკაზე“ მასპინძლებს თავიდან გაუჭირდათ, რადგანაც „ლიგა დეპორტივას“ ეტყობოდა, რომ ერთბაშად უნდოდა, სიტუაციის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. საწყისი 12 წუთის განმავლობაში მოედანზე ეკვადორელებმა იმძლავრეს და მექსიკელები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. სტუმართა იერიშები, ძირითადად, მარჯვენა ფლანგიდან წარიმართა. გერონი და ვერა, როგორც უნდოდათ, ადგილობრივთა დაცვაში ისე დაძვრებოდნენ, თუმცა კლაუდიო ბიელერი კაქტუსისქვეყნელებმა საიმედოდ ჩაკეტეს და მისი მისამართით გაგზავნილი პასები გოლებად ვერ გადაიქცა.

„ამერიკა“ განრისხებულ გულშემატკივართა თვალწინ სულ უფრო მოიშალა და მომხვდურთა ფორვარდების უზუსტობა რომ არა, ეკვადორელები ტაბლოზე 0:1-ს თამაშის პირველ ნახევარშივე აანთებდნენ. მექსიკელთა მცველები სრულიად მარტივ სიტუაციაში ცდებოდნენ და გილიერმო ოჩოას კარიც პერმანენტული საფრთხის ქვეშ იდგა.

ოჩოა პირველად კარლოს ბიელერმა დაზაფრა, როცა მეთვრამეტე წუთზე სახიფათო თავური დაარტყა. ყველაზე დიდი საფრთხე ლუის ბოლანიოსმა გამოაცხო — 21-ე წუთზე მისი დარტყმა მექსიკელთა მეკარემ უკუაგდო, 45-ეზე კი ეკვადორელის გასროლას წინ მხოლოდ გილიერმო ოჩოას კარის ძელი აღუდგა.

მასპინძლები ინჩასთა ღრიალმა ეკვადორულ კოშმარს ნელ-ნელა გამოჰგლიჯა და „ამერიკამაც“ მძიმედ იწყო გამოფხიზლება. არგუეიომ საჯარიმოს გარედან „ლიგა დეპორტივას“ გოლკიპერის ხოსე ფრანსისკო სევალიოსის თვალფხიზლობა რამდენჯერმე შეამოწმა, სალვადორ კაბანიასმა კი ბურთს თავური დაჰკრა, თუმცა სტუმართა მეკარემ ამ დარტყმის მოგერიებაც შეძლო.

მეორე ტაიმში ალესანდრო არგუეიოს ნაცვლად „აცტეკაზე“ მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელის, გონსალო იგუაინის ძმა ფედერიკო გამოჩნდა, რამაც სიტუაცია „ამერიკას“ სასარგებლოდ შეცვალა. მექსიკელებმა წინ გადაინაცვლეს და ფედერიკო იგუაინიც თამაშში შესანიშნავად ჩაერთო. 50-ე წუთზე არგენტინელი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა და ძლიერად დაარტყა. ხოსე ფრანსისკო სევალიოსმა ბურთი ენრიკე ესკედას მიმართულებით მოიგერია, თუმცა ამ უკანასკნელმა შესანიშნავი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შეძლო.

ორი წუთის შემდეგ ერნან კაიემ სალვადორ კაბანიასის გასროლა ხელით უკუაგდო. საჯარიმო ისევ კაბანიასმა დაარტყა და ეკვადორელთა კარი გოლს ბეწვზე გადაურჩა.

თითქოს, ანგარიშში გონს მოსული მექსიკელები უნდა დაწინაურებულიყვნენ, თუმცა დაცვაში ზემოხსენიებულმა შეცდომებმა ისევ თავი იჩინეს და გარინდული „აცტეკაც“ ბოლანიოსის გოლის მომსწრე გახდა.

გერონმა მარჯვენა ფლანგზე მსწრაფლ ჩაიქროლა, დაბნეულ ინიგოს ფინტით აუარა გვერდი და ოჩოას კარისკენ მაღალი ბურთი გაგზავნა, რასაც საბოლოოდ ლუის ბოლანიოსის თავურმა მიუსწრო.

„ამერიკა“ გოლმა რამდენიმე წუთით დააბნია, თუმცა მასპინძლებს ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტიათ და მატჩის მიწურულს ფედერიკო იგუაინის კუთხურის შემდეგ, ენრიკე ესკედამ გადამრჩენელი გოლი გაიტანა.

„წინ ოთხმოცდაათწუთიანი მატჩი დაგვრჩა, რომლის დროსაც მეტოქეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევერკინებით და ფინალის საგზურსაც მოვიპოვებთ“ — თქვა „ლიგა დეპორტივას“ ფორვარდმა გერონმა ჟურნალისტებთან.

**ლადო ხომერიკი**

# ათვალწუნებულნი

**მსოფლიოს** მოქმედი ჩემპიონის, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, 24-კაციან სიას ფლორენციელი რიკარდო მონტოლივო მოაკლო. ახალგაზრდა ფეხბუთრელს პეკინის ოლიმპიადით მოუწევს დაკმაყოფილება, რომელზეც პიერლუიჯი კაზირაგი, ალბათ, ნამდვილად წაიყვანს. თუმცა, თუ „სკადრა აძურას“ ბანაკში ვინმე დაშავდება, მონტოლივო მას ჩაანაცვლებს და ავსტრია-შვეიცარიაში გაემგზავრება.

რაც შეეხება ევროპის მოქმედ ჩემპიონ ბერძნებს, არც მათ გერმანელ თავკაც ოტო რეჰაგელს მიუღია მოულოდნელი გადაწყვეტილება. მას ევრო 2008-ზე ათენის აეკ-ის მცველი სოკრატის პაპასტატოპულოსი არ მიჰყავს. თითქმის ყველა ის ფეხბურთელი, რომელმაც წინა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ავსტრია-შვეიცარიაშიც ითამაშებს.

საბერძნეთის კაპიტანი ანგელოს ბასინასი დაშავდა, მაგრამ 10 ივნისამდე, როცა ბერძნებს შვედეთთან აქვთ ევრო 2008-ზე პირველი მატჩი, მწყობრში ჩადგება.

სენსაცია არც გერმანიის ბანაკში მომხდარა. იოახიმ ლიოვმა ნაკრებიდან სამი გამოუცდელი მოთამაშე მოკვეთა — მიონხენგლადბახელი მარკო მარინი, გელზენკირხენელი ჯერმეინ ჯონსი და კიოლნელი პატრიკ ჰელმესი.

ლიოვმა ისინი შეაქო, ვარჯიშებზე ბრწყინვალედ გაისარჯნენ და ნაკრებში ადგილი სხვების დარად დაიმსახურეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ევრო 2008-ზე მხოლოდ 23 ფეხბურთელის წაყვანის უფლება მქონდაო.

პატრიკ მიულერის გადაწყვეტილებამ ფრანგული „ლიონის“ ნებართვის გარეშე დატოვებისა და ეროვნული ნაკრების შეკრებაზე წასვლის შესახებ, შედეგი გამოიღო. ევრო 2008-ის ერთ-ერთი მასპინძლის, შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა კობი კუნმა 31 წლის ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის საბოლოო განაცხადში შეიყვანა.

სამაგიეროდ, კუნმა ნაკრებს მიღმა დატოვა ცნობილი მცველი მარიო ეგიმანი და თავდამსხმელი ტომას ჰაებერლი.

სამი მოთამაშით შეკვეცა ნაკრები პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა. ეს გადაწყვეტილება ურთულესი მისაღები იყო, მაგრამ რადოსლავ მატუსიაკს, გჟეგოჟ ბრონოვიცკისა და რადოსლავ მაევსკის უნდა დავემშვიდობოთო.

რუმინეთის ნაკრების საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდნენ ფლორიან ბრატი და ჩიპრიან დიაკი. მეკარე დენუც კომანს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება ტრავმის გამო მოუწევს. მის ნაცვლად ვიქტორ პიცურკამ ედუარდო სტენჩიოიუს უხმო.

საფრანგეთის ნაკრების თავკაც რაიმონ დომენეკს 30 კაცი ჰყავდა გამოძახებული და საბოლოოდ, შვიდის ათვალწუნება მოუხდა. ესენი არიან ჯიბრილ სისე, ჰათემ ბენ არფა, მატიე ფლამინი, ალიუ დიარა, ფილიპ მექსესი, ნიკოლა ესკუდე და მიკაელ ლანდრო.

**ძოძი ძანძღავა**



მარკო მარინი და ჯერმეინ ჯონსი



რიკარდო მონტოლივო

# ევრო 2008-ის მონაწილეთა სამზადისი



იენს ლემანმა ბელარუსებისგან ორი გოლი გაუშვა

### გერმანია 2:2 ბელარუსი

**1:0 კლოზე (10), 2:0 კორიტკო (20ს.კ.), 2:1, 2:2 ბულიგა (61, 88)**
**გერმანია: ლემანი, მეცელდერი, მერტეზაკერი, ლამი, ჰიცლშპერგერი, ფრინგსი (ტროხოვსკი 67), შვაინშტაიგერი (მარინი 46), ოდონკორი (ფრიცი 79), ბალაკი (ჯონსი 46), კლოზე (ნოივილი 54), პოდოლსკი (ჰელმესი 54)**
**მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი**
**მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)**
**47 258 მაყურებელი**

**გერმანია** ორი ბურთით უგებდა ბელარუსს, მაგრამ საბოლოოდ რაც გამოვიდა, ოქმიდანაც ჩანს.

კაიზერსლაუტერნში ჩატარებულ ამ შეხვედრაში ანგარიში მიროსლავ კლოზემ გახსნა, პოდოლსკის ჩინებული პასით, მეორე გოლი კორიტკომ ჩაჭრა საკუთარ კარში — ბელარუსი მცველი ოდონკორის ჩაწოდების მოგერიებას ცდილობდა.

იენს ლემანის კარში კი ორივე გოლი ვიტალი ბულიგამ შეაგდო. აქვე ვთქვათ, რომ ლემანმა ორი კი გაუშვა, მაგრამ რამდენიმე რთული ბურთიც მოიგერია.

„ბოლო დღეებში ინტენსიურად ვვარჯიშობთ და დიდი დატვირთვების ფონზე ჩვენს ფეხბურთელებს დაღლილობა ეტყობოდათ. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ამ ეტაპზე ეს ასეც უნდა იყოს — ამგვარი ახსნა მოუძებნა ბელარუსთან ვერმოგებას გერმანელთა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა — გპირდებით, რომ ჩემპიონატის დაწყებისთვის ყველა ჩვენი ფეხბურთელი ოპტიმალურ ფორმაში იქნება“.

ინტენსიური ვარჯიშები ერთია და გერმანელ ფეხბურთელებს, როგორც აღნიშნავენ, ნერვიულობაც ეტყობოდათ. ბელარუსთან სათამაშოდ გასულებმა ჯერ ხომ არ იცოდნენ, მათგან ვის წაიყვანს ლიოვი ავსტრია-შვეიცარიაში და ვის არა.

ისევ ლიოვი: „ბიჭები ძალიან მონდომებულები არიან და თავს არ ზოგავენ. ამავე დროს, ბელარუსთან ნაჩვენებმა შედეგმა საფიქრალი მოგვიმატა“.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანელები ერთ ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ: შაბათს გელზენკირხენში სერბებს შეხვდებიან.

**კოტე კეკელია**

### ალბანეთი 0:1 პოლონეთი

**0:1 ჟურავსკი (3)**
**პოლონეთი: ფაბიანსკი, ბაკი, ჟევლაკოვი (კოკოშკა 9), ვასილევსკი, ვავრჟინიაკი, კრჟინოვეცი (მურავსკი 82), ლევანდოვსკი, დუდკა (პაზდანი 82), გვეჟდონი (სმოლარეკი 46), ჟურავსკი (ზაჰორსკი 61), ლობოძინსკი (საგანოვსკი 82)**
**მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი**
**მსაჯი: კნუტ კირხერი (გერმანია)**
**2 500 მაყურებელი**

**ევროპის** ჩემპიონატის ჯგუფში ავსტრიის, გერმანიისა და ხორვატიის მეზობელმა პოლონეთმა ამხანაგურ მატჩში ალბანეთს 1:0 მოუგო. ეს ადრიანი გოლი მაცეი ჟურავსკიმ გაიტანა. ეს გოლი პოლონეთის ნაკრების საიუბილეო, 1200-ე გამოდგა, საგოლე პასი კი ჟურავსკის მარცინ ვასილევსკიმ მისცა.

ალბანელთა საგოლე შანსებზე სათქმელი არც არაფერია, პოლონელებს კი რამდენიმე კარგი მომენტი კიდევ ჰქონდათ, თუმც ველარ იხეირეს.

პოლონელთა თავდამსხმელმა ეუსებიუშ სმოლიარეკმა გამოუყენებელ მომენტებზე თქვა, უკეთესად თამაშიც შეგვეძლო, მაგრამ არა უშავს, ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყოო.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე პოლონეთი ერთ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავს — 1 ივნისს დანიის ნაკრებს გაეჯიბრება.

**კოტე კეკელია**



პოლონელებს მაცეი ჟურავსკის (№9) ამ თავურმა მოაგებინა

### ჩეხეთი 2:0 ლიტვა

**1:0, 2:0 კოლერი (39, 64)**
**ჩეხეთი: ჩეხი, უიფალუში (კოვაჩი 75), გრიგერა, როზეჰნალი, იანკულოვსკი (კადლეცი 65), იაროლიმი (მატეიოვსკი 83), ვლჩეკი, პლაშილი (შკაჩელი 79), პოლაკი (გალაშეკი 46), კოლერი, ბაროში (სვერკოში 46)**
**მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი**
**მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)**
**14 220 მაყურებელი**





**ჩეხეთის** ნაკრები ევრო 2008-ის დაწყებამდე ჩინებულ განწყობას იქმნის. კარელ ბრიუკნერის შეგირდებმა პრაღაში ამხანაგური მატჩი უპრობლემოდ, 2:0 მოუგეს ლიტვას გიგანტი ფორვარდის იან კოლერის წყვილი გოლით. მან ჯერ ზდენეკ გრიგერას პასს შეაგება თავური. მერე კი ვაცლავ სვერკოშის ბრწყინვალე გადაცემით იხეირა.

35 წლის კოლერს ნაკრებში უკვე 54 გოლი მოუგროვდა, 85 მატჩში. ჩეხები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და ბევრად მეტი ბურთის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ორი იკმარეს. თუმცა მწვრთნელი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ დარჩა.

„ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მეტი იმპროვიცაზიაა საჭირო, უნდა მოვუმატოთ. ამჟამად ჩვენი თამაში ადვილად იკითხება და ზედმეტად ერთფეროვანია“ — თქვა ბრიუკნერმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან მიდის.

იან კოლერი: „გოლების გატანა ყოველთვის მიხარია, ამხანაგურ მატჩეშიც. მიხარია, რომ მთლიანობაში კარგად ვითამაშე. სვერკოშს გუნდისთვის საოცარი სარგებლის მოტანა შეუძლია, მისი ქუსლური საგოლე პასი დიდებული გახლდათ. ვწუხვარ, რომ ვაცლავმა საკუთარი შანსი ვერ გამოიყენა და მინდორი უგოლოდ დატოვა“.

ჩეხეთი, რომელიც ჯგუფში შვეიცარიასთან, პორტუგალიასა და თურქეთთან ერთადაა, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ერთ მატჩს გამართავს — პარასკევს პრაღაშივე შოტლანდიის ნაკრებთან.

**კოკი კანდელაკი**



პოგატეცისა და უჩეს ორთაბრძოლა

### ავსტრია 1:1 ნიგერია

**1:0 კინასტი (13), 1:1 უჩე (19)**
**ავსტრია: მახო, შტრანცლი, შტანდფესტი, პრიოდლი, პოგატეცი, ივანშიცი (ვასტიჩი 70), აუფჰაუზერი, ზაუმელი, ფუხსი (ქორქმაზი 61), ლინცი (ლიტგები 82), კინასტი (ჰოფერი 46)**
**მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი**
**მსაჯი: სერჟ გუმენი (ბელგია)**
**15 000 მაყურებელი**

**გულახდილად** ვთქვათ: ავსტრია ევროპის ჩემპიონატს თანამასპინძელი რომ არ იყოს, ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვედრის შანსი არ ექნებოდა. რატომ? მათ შედეგებს გადავხედოთ — ერთადერთი მოგება ბოლო 14 შეხვედრაში.

ნიგერიასთან ამხანაგურ მატჩში ავსტრიელები დაწინაურდნენ, რომან კინასტმა როლანდ ლინცის პასით გაიტანა. თუმც ნიგერიელთა პასუხმა არ დააყოვნა და აფრიკის თასის მეოთხედფინალისტებმა 7 წუთში გაათანაბრეს. გოლი კალუ უჩემ შეაგდო.

აქვე გავიხსენოთ, რომ ნიგერია მსოფლიო რეიტინგში 39-ე ადგილზეა, ხოლო ავსტრია — 101-ეზე. და მაინც, მოგების უკეთესი შანსი ავსტრიელებს ჰქონდათ, შეცვლაზე შესულმა ერვინ ჰოფერმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბურთი ძელს გაარტყა. ავსტრიელებს შემადგენლობაში 38 წლის ივიცა ვასტიჩიც ჰყავდათ.

ნამატჩევს ავსტრიელთა მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერბურგერმა თქვა: „ცხადია, მოგება გვინდოდა, მაგრამ ნიგერია ძალიან ძლიერია“.

ავსტრიელები ბოლო საკონტროლო მატჩს პარასკევს, მალტის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ და ეგებ ის მაინც მოიგონ.

**კოტე კეკელია**

### საფრანგეთი 2:0 ეკვადორი

**1:0, 2:0 გომისი (59, 86)**
**საფრანგეთი: ფრეი (მანდანდა 46), სანიოლი (კლერკი 73), ტურამი, ქაკუდე (ევრა 46), აბიდალი, ა. დიარა (ფლამინი 46), ლ. დიარა, ნასრი, ბენ არფა (მალუდა 78), ჯ. სისე (გომისი 46), ანელკა**
**მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი**
**მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)**
**30 000 მაყურებელი**

**ბაფეტიმბი გომისი** ზინედინ ზიდანი, რა თქმა უნდა, არ არის, თუმცა ერთი ზიდანისეულ შედეგის გამეორება კი შეძლო. ზიდანის მერე ის ერთადერთი ფრანგი ფეხბურთელია, ნაკრებში სადებიუტო მატჩში ორი გოლი რომ გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგთა მწვრთნელ რაიმონ დომენეკს კრიტიკა არ აკლია, შემადგენლობის ერთობ უჩვეულოდ შედგენის გამო. მაგალითად, უამრავი ადამიანისთვის გამოცანად დარჩა ნაკრებში დავიდ ტრეზეგეს არგამოძახების მიზეზი, მაშინ როცა იგივე გომისი — „სენტ ეტიენის“ 22 წლის წლის ფორვარდი — დომენეკმა ნაკრებში ყოფნის ღირსად ჩათვალა.

თუმცა ეკვადორთან ამ მატჩით თუ ვიმსჯელებთ, მწვრთნელს კრიტიკოსები უნდა მოაკლდნენ.

ჯერჯერობით კი გომისი თავმდაბლად აცხადებს, რომ ზიდანთან მისი შედარება მეტისმეტია: „ვატყობ, რომ თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებ, მაგრამ სასწავლი და სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მაქვს. ზიდანთან ჩემი შედარებაც უადგილოა“.

რაიმონ დომენეკმა კი თქვა: „გომისმა დამინახა, რომ კვალიფიციური ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, ნაკრებში ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა ექნება“.

**კოტე კეკელია**



ბაფეტიმბი გომისი (№20)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 21 | პიაჩენცა-მანტოვა | 2.55 | 2.70 | 2.85 | 1.31 | 1.34 | 1.38 |
| 17:00 | 22 | რიმინი-მესინა | 1.60 | 3.10 | 5.85 | 1.05 | 1.25 | 2.02 |
| 17:00 | 24 | ბოლონია-პიზა | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 17:00 | 25 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.80 | 2.75 | 5.00 | 1.08 | 1.32 | 1.77 |
| 17:00 | 26 | ლეჩე-ვიჩენცა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 17:00 | 27 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.90 | 2.75 | 4.50 | 1.12 | 1.33 | 1.70 |
| 17:00 | 28 | კიევო-ბარი | 1.75 | 2.75 | 5.50 | 1.06 | 1.32 | 1.83 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 318 | ჩიტადელა-კრემონეზე | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 319 | ტარანტო-ანკონა | 1.80 | 2.85 | 5.00 | 1.10 | 1.32 | 1.81 |
| 18:00 | 320 | მეცოკორონა-ლუმეცანე | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 321 | პორტოგრუარო-ბასანო | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 322 | კელანო-რეალ მ | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 31 | ელჩე-ლას პალმასი | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 20:30 | 35 | სპორტინგი-კორდობა | 1.50 | 3.60 | 6.45 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 20:30 | 36 | ფეროლი-ალავესი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 20:30 | 37 | სოსიედადი-სალამანკა | 1.40 | 4.00 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.59 |
| 20:30 | 39 | ტარაგონა-გრანადა | 1.75 | 3.25 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.88 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 30 | სევილია ბ-ჰერკულესი | 2.30 | 2.75 | 3.30 | 1.25 | 1.35 | 1.50 |
| 19:00 | 32 | სერესი-ეხიდო | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 33 | ალბასეტე-eიბარი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 19:00 | 34 | ნუმანსია-კასტელონი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 19:00 | 38 | სელტა-ტენერიფე | 2.10 | 2.80 | 3.75 | 1.20 | 1.34 | 1.60 |
| 22:30 | 40 | მალაგა -კადისი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | ნორვეგია | | | | | | |
| | | ტიპელიგა | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | ბრანი-მოლდე | 1.35 | 4.20 | 7.15 | 1.02 | 1.13 | 2.64 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 63 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 22:00 | 65 | ლინი-ვოლერენგა | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 66 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 67 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 61 | ბოდო გლიმტ-ლილესტრომი | 2.10 | 3.50 | 2.90 | 1.31 | 1.21 | 1.58 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 82 | სირიუსი-ენჩიოპინგი | 1.75 | 3.50 | 4.10 | 1.16 | 1.22 | 1.88 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 03:30 | 118 | ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | კლაუსურა | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 05:00 | 317 | კრუს ასული-სანტოსი | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 157 | ჰოლანდია-დანია | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:30 | 158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:00 | 159 | ირლანდია-კოლუმბია | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 160 | ლატვია-ესტონეთი | 1.50 | 3.20 | 4.50 | 1.02 | 1.12 | 1.87 |
| 19:30 | 161 | ჩეხეთი-შოტლანდია | 1.65 | 3.40 | 4.25 | 1.11 | 1.18 | 1.88 |
| 22:30 | 162 | ავსტრია-მალტა | 1.25 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.28 |
| 22:30 | 163 | შვეიცარია-ლიხტენშტეინი | 1.06 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.29 |
| 22:45 | 164 | იტალია-ბელგია | 1.40 | 3.70 | 7.20 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| | | ბრაზილია. თასი | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 04:50 | 310 | ვასკო და გამა-სპორტ რისაიფი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 04:50 | 311 | კორინთიანსი-ბოტაფოგო | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10022 | რიმინი-მესინა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10028 | კიევო-ბარი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10031 | ელჩე-ლას პალმასი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10032 | სერესი-ეხიდო | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10034 | ნუმანსია-კასტელონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10035 | სპორტინგი-კორდობა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10036 | ფეროლი-ალავესი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10038 | სელტა-ტენერიფე | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10039 | ტარაგონა-გრანადა | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10040 | მალაგა -კადისი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10157 | ჰოლანდია-დანია | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10159 | ირლანდია-კოლუმბია | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11022 | რიმინი-მესინა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11028 | კიევო-ბარი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11031 | ელჩე-ლას პალმასი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11032 | სერესი-ეხიდო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11034 | ნუმანსია-კასტელონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11035 | სპორტინგი-კორდობა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11036 | ფეროლი-ალავესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11038 | სელტა-ტენერიფე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11039 | ტარაგონა-გრანადა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11040 | მალაგა -კადისი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11157 | ჰოლანდია-დანია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11159 | ირლანდია-კოლუმბია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12021 | პიაჩენცა-მანტოვა | 2.00 | 1.60 |
| 12022 | რიმინი-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.00 | 1.60 |
| 12027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.00 | 1.60 |
| 12028 | კიევო-ბარი | 2.00 | 1.60 |
| 12030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.70 | 1.90 |
| 12031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.70 | 1.90 |
| 12032 | სერესი-ეხიდო | 1.70 | 1.90 |
| 12033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.50 | 2.10 |
| 12034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.50 | 2.10 |
| 12035 | სპორტინგი-კორდობა | 1.70 | 1.90 |
| 12036 | ფეროლი-ალავესი | 1.50 | 2.10 |
| 12037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.70 | 1.90 |
| 12038 | სელტა-ტენერიფე | 1.70 | 1.90 |
| 12039 | ტარაგონა-გრანადა | 1.50 | 2.10 |
| 12040 | მალაგა -კადისი | 1.60 | 2.00 |
| 12157 | ჰოლანდია-დანია | 1.90 | 1.70 |
| 12158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 12159 | ირლანდია-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.60 | 2.00 |
| 13022 | რიმინი-მესინა | 1.60 | 2.00 |
| 13025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.50 | 2.10 |
| 13027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.50 | 2.10 |
| 13028 | კიევო-ბარი | 1.60 | 2.10 |
| 13030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.80 | 1.80 |
| 13032 | სერესი-ეხიდო | 1.80 | 1.80 |
| 13033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.00 | 1.60 |
| 13034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.90 | 1.70 |
| 13035 | სპორტინგი-კორდობა | 1.90 | 1.70 |
| 13036 | ფეროლი-ალავესი | 2.00 | 1.60 |
| 13037 | სოსიედადი-სალამანკა | 2.00 | 1.60 |
| 13038 | სელტა-ტენერიფე | 1.70 | 1.90 |
| 13039 | ტარაგონა-გრანადა | 1.90 | 1.70 |
| 13040 | მალაგა -კადისი | 1.90 | 1.70 |
| 13157 | ჰოლანდია-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13159 | ირლანდია-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.85 | 1.95 |
| 17022 | რიმინი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.85 | 1.95 |
| 17028 | კიევო-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | სერესი-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17035 | სპორტინგი-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ფეროლი-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17038 | სელტა-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ტარაგონა-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17040 | მალაგა -კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | ჰოლანდია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17159 | ირლანდია-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | რიმინი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ასკოლი-ტრიესტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | კიევო-ბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | ელჩე-ლას პალმასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | სერესი-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | ალბასეტე-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15034 | ნუმანსია-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15035 | სპორტინგი-კორდობა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ფეროლი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | სოსიედადი-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | სელტა-ტენერიფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ტარაგონა-გრანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | მალაგა -კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | ჰოლანდია-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | ირლანდია-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.80 | 1.85 |
| 16022 | რიმინი-მესინა | 1.22 | 3.40 |
| 16025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.30 | 3.00 |
| 16027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.34 | 2.80 |
| 16028 | კიევო-ბარი | 1.25 | 3.40 |
| 16030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.62 | 2.05 |
| 16031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.58 | 2.10 |
| 16032 | სერესი-ეხიდო | 1.30 | 3.00 |
| 16033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.32 | 3.00 |
| 16034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.24 | 3.60 |
| 16035 | სპორტინგი-კორდობა | 1.14 | 4.70 |
| 16036 | ფეროლი-ალავესი | 1.40 | 2.55 |
| 16037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.11 | 5.70 |
| 16038 | სელტა-ტენერიფე | 1.50 | 2.30 |
| 16039 | ტარაგონა-გრანადა | 1.25 | 3.40 |
| 16040 | მალაგა -კადისი | 1.23 | 3.60 |
| 16157 | ჰოლანდია-დანია | 1.25 | 3.40 |
| 16158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.23 | 3.60 |
| 16159 | ირლანდია-კოლუმბია | 1.45 | 2.45 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.90 | 1.90 |
| 14022 | რიმინი-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.65 | 2.30 |
| 14027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.70 | 2.20 |
| 14028 | კიევო-ბარი | 1.45 | 2.40 |
| 14030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.80 | 2.00 |
| 14031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.80 | 2.00 |
| 14032 | სერესი-ეხიდო | 1.65 | 2.30 |
| 14033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.65 | 2.30 |
| 14034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.45 | 2.40 |
| 14035 | სპორტინგი-კორდობა | 1.30 | 2.50 |
| 14036 | ფეროლი-ალავესი | 1.70 | 2.20 |
| 14037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.20 | 2.60 |
| 14038 | სელტა-ტენერიფე | 1.75 | 2.10 |
| 14039 | ტარაგონა-გრანადა | 1.45 | 2.40 |
| 14040 | მალაგა -კადისი | 1.45 | 2.40 |
| 14157 | ჰოლანდია-დანია | 1.45 | 2.40 |
| 14158 | თურქეთი-ფინეთი ნ | 1.45 | 2.40 |
| 14159 | ირლანდია-კოლუმბია | 1.75 | 2.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი







# ბიჭები მყავს იმისთანა!.. კმაყოფილია დიდი ფილი

27 მაისი

### დასავლეთი

**ლეიკერსი 3:1 სან ანტონიო**

**სან ანტონიო 91:93 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 17 მოხსნა), პარკერი (23 ქულა, 9 პასი), ბერი (23)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28 ქულა, 10 მოხსნა), ოდომი (16), რადმანოვიჩი (11), გასოლი (10 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

კობი ბრაიანტს კაიბიჭობით და ნაცნობობით როდი მისცეს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდება. ის იმ გუნდის საუკეთესო მოთამაშეა, რომელიც რამდენიმე დღეში შეიძლება ჩემპიონი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, „ლეიკერსს" ჩემპიონობამდე თუ არა, ფინალამდე ბევრი აღარ უკლია და ესეც უდიდესი წარმატებაა იმ გუნდისთვის, რომელიც ბოლო სამ სეზონში ორჯერ პირველი რაუნდიდან უშანსოდ გავარდ, ერთხელ კი საერთოდ ვერ მოხვდა დასავლეთის რჩეულ რვეულში.

წლეულს ყველაფერი სხვაგვარადა, ფილ ჯექსონის გუნდის ძლევა ბევრისთვის გაძვირდა. აგერ, თვით „სან ანტონიომაც" კი წაიბორძიკა. ჩემპიონებმა შინ ორი გამარჯვება და სერიაში ანგარიშის გათანაბრება დაგეგმეს, მაგრამ მათ გეგმას წყალი გაუვიდა, რადგან „ლეიკერსმა" მეოთხე თამაშში დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ საკუთარი ძლიერების სრული შეგრძნებით აართვა გამარჯვება ტიმ დანკანს და მისიანებს და ამით ფაქტობრივად კედელზე მიაყენა. ერთი გამარჯვებაც და „სან ანტონიო" ექსჩემპიონის სტატუსს მიიღებს, „ლეიკერსი" კი თავის მე-15 ტიტულს შეუტევს.

სერიის მეოთხე მატჩში ბრაიანტი თავის გუნდში საუკეთესო კი იყო, მაგრამ „ლეიკერსმა" გუნდური თამაშით მოიგო და ამით დიდადაც აამა თავკაც ფილ ჯექსონს, რომელიც სწორედ ასეთი გუნდის აშენებაზე ოცნებობდა და აი, შედეგსაც იმკის.

„ჩემმა ბიჭებმა უდიდესი ენერგია და მონდომება ჩადეს ამ თამაშში. ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ" — კმაყოფილობდა „დიდი ფილი" ნამატჩევს.

კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ „სან ანტონიო" ამ თამაშს თავისად თვლიდა და მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდა, მას ხომ წლევანდელ პლეი ოფში ექვსივე შინაური თამაში მოეგო, მაგრამ „ლეიკერსმა" თავიდანვე ისე შეუტია, რომ გამარჯვების რწმენა საძირკვლიანად შეურყია. ლოსანჯელესელებმა კვლავ ამოკეტეს სანანტონიოელთა სათადარიგო ვარსკვლავი მანუ ჯინობილი, ვინც მხოლოდ მოგებულ (მესამე) თამაშში ითამაშა ჩვეულად, როცა 30 ქულა მოიხვეჭა, სამ წაგებულში კი ერთად ვერ შეაგროვა ამდენი, ახლაც მხოლოდ 7 მოაგროვა. სამაგიეროდ, თავი გამოიდო „სფურზის" კიდევ ერთმა სამარქაფომ ბრენტ ბერიმ, ვინაც 23 ქულა მიაშველა თავის გუნდს.

მაგრამ „სან ანტონიო" ვერც მან, ვერც ტიმ დანკანმა და ვერც ტონი პარკერმა ვერ გამართეს წელში. „ლეიკერსი" ულმობელი იყო და შეცდომებს არ პატიობდა. ერთი შეხედვით სრულიად თანაბარ პირველ ტაიმშიც გამუდმებით ლიდერობდა და მასპინძელს რამდენჯერმე მისცა ანგარიშის გათანაბრების უფლება, წინ კი აღარ გაუშვა. ჯინობილიმ წყვილი საჯარიმოებით თავისი პირველი ქულები მესამე მეოთხედის ბოლოს მიითვალა, როცა „სან ანტონიომ" უკანასკნელად გაათანაბრა — 67:67, თუმც „ლეიკერსმა" ამ მეოთხედშივე შეძლო წინ გასვლა და დასკვნით 12-წუთეულს 7-ქულიანი უპირატესობით შეხვდა.

„სან ანტონიოს" ბოლომდე არ შეუწყვეტია ბრძოლა, ორ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა — 79:81, მაგრამ „ლეიკერსმა" ლამარ ოდომის ლიდერობით ზედიზედ 7 ქულა გააკეთა და თამაშის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე 88:79 წინ გაიჭრა. მასპინძლებს თავიდან მოუხდათ წვალება და თითქმის აისრულეს კიდეც ჩანაფიქრი, ჯინობილიმ ბოლოს და ბოლოს სამქულიანი ჩააგდო საფინალო სირენამდე 50 წამით ადრე, ლეიკერსელი ფიშერის გაცუდებულს კი პარკერმა წყვილი საჯარიმოთი უპასუხა და 28 წამით ადრე ჩამორჩენა 91:93 შეამცირა. ამის შემდეგ თამაში რამდენჯერმე შეჩერდა ტაიმ-აუტებისა თუ ტაქტიკური ჯარიმების გამო, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. „ლეიკერსი" ფინალს ერთ ნახტომამდე მიუახლოვდა, სკუპი კი უკვე შემდეგ თამაშში შეიძლება გამოუვიდეს, რომელსაც 29 მაისს შინაურ კედლებში გამართავს.

სანანტონიოელებს ძალიან კი ეწყინათ მარცხი, მაგრამ რალას იზამდნენ. ის ქნეს, რომ მსაჯს მისდგნენ, აქაოდა, ჯო კროუფორდი ნამეტანი მკაცრად სჯიდა და ისეტ კონტაქტებზე გვაჯარიმებდა, რეგულარული ჩემპიონატის რიგით თამაშებში სხვა მსაჯი ყურადღებას რომ არ მიაქცევდაო.

**ვანო ძოზიაშვილი**

---

მრავალ სახეობათა დარად პეკინის ოლიმპიადაზე კალათბურთშიც გამოავლენენ საუკეთესოს. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე გუნდების რაოდენობა სრულად არ გარკვეულა, ფიბა-მ უკვე გამოაქვეყნა გათამაშების კალენდარი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**A ჯგუფი**

**არგენტინა**

**ავსტრალია**

**ირანი**

**ლიტვა**

**რუსეთი**

**I კვალიფიკანტი**

**B ჯგუფი**

**ანგოლა**

**ჩინეთი**

**აშშ**

**ესპანეთი**

**II კვალიფიკანტი**

**III კვალიფიკანტი**

10 აგვისტო

**რუსეთი — ირანი**

**ესპანეთი — III კვალიფიკანტი**

**ლიტვა - არგენტინა**

**II კვალიფიკანტი — ანგოლა**

**ავსტრალია — I კვალიფიკანტი**

**აშშ — ჩინეთი**

12 აგვისტო

**ირანი — ლიტვა**

**I კვალიფიკანტი — რუსეთი**

**III კვალიფ. — II კვალიფ.**

**ჩინეთი — ესპანეთი**

**ანგოლა — აშშ**

**არგენტინა — ავსტრალია**

14 აგვისტო

**II კვალიფიკანტი — ესპანეთი**

**ავსტრალია — ირანი**

**ანგოლა — ჩინეთი**

**ლიტვა — რუსეთი**

**აშშ — III კვალიფიკანტი**

**არგენტინა — I კვალიფიკანტი**

16 აგვისტო

**III კვალიფიკანტი — ანგოლა**

**რუსეთი — ავსტრალია**

**I კვალიფიკანტი — ლიტვა**

**ირანი — არგენტინა**

**ჩინეთი — II კვალიფიკანტი**

**ესპანეთი — აშშ**

18 აგვისტო

**ირანი — I კვალიფიკანტი**

**ავსტრალია — ლიტვა**

**III კვალიფიკანტი — ჩინეთი**

**ანგოლა — ესპანეთი**

**აშშ — II კვალიფიკანტი**

**არგენტინა — რუსეთი**

20 აგვისტო

**მეოთხედფინალები**

**მატჩი 1:B2 — A3**

**მატჩი 2:A1 — B4**

**მატჩი 3:A2 — B3**

**მატჩი 4:B1 — A4**

22 აგვისტო

**ნახევარფინალები**

**1 მატჩის გამარჯვებული — 2 მატჩის გამარჯვებული**

**3 მატჩის გამარჯვებული — 4 მატჩის გამარჯვებული**

24 აგვისტო

**მატჩი მესამე ადგილისათვის**

**ფინალი**




ბოლო, ათენური ოლიმპიადის გამარჯვებული არგენტინელები

# მართვე წელში გაიმართა
## თბილისი ბრინჯაოს ვერ შესწვდა

**გუშინ** საქართველოს დუბლიორთა ჩემპიონატი დასრულდა. გასარკვევი მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა იყო, რაკი რუსთაველმა „ენერჯი-ინვესტმა" ფინალურ სერიაში მშრალი ანგარიშით 2:0 დაამარცხა თბილისის „მაკაბი" და სეზონის ბოლო მატჩიც ბრინჯაოს მედლების მაძიებლებმა გამართეს.

„მართვესა" და „თბილისს" შორის ბრინჯაოს სერიოზული ანგარიში თანაბარი 1:1 იყო და გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზმა გადამწყვეტ მატჩს უმასპინძლა. შეხვედრა მეტად დაძაბული და დრამატული გამოდგა. ბოლო წუთებამდე არ იყო გარკვეული, ვინ გაიმარჯვებდა. თუმცა „მართვეს" მოთამაშეებმა ბრჭყალები გამოაჩინეს და „თბილისს" გამარჯვება ბოლო წამებზე გამოჰგლიჯეს — 80:76.

# ხელბურთის თავი ივნისში გამოჩნდება

## ნაკრებმა საევროპო დაიწყო

**გუშინ** ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურია — თამაზ თევზაძე ამას წინათ გადადგა. აღმასკომმა კი ახალი პრეზიდენტის არჩევის თარიღად 29 ივნისი დათქვა.

ამ დღეს რიგგარეშე ყრილობა გაიმართება და ხელბურთის თავსაც აირჩევენ. მანამდე კი პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე შეასრულებს. გუშინვე კიდევ ერთი საკითხზე უნდა ემსჯელათ და საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიის საპასუხო მატჩში „თბილისსა" და „სტუ-თელავს" შორის მომხდარი ინციდენტი გაერჩიათ. შეგახსენებთ, რომ მაშინ ხელბურთელებმა იჩხუბეს და „თბილისის" პრეზიდენტმა მამუკა მჟავანაძემ გუნდი თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე მოედნიდან გაიყვანა. თუმც ხებურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, რომ ამ საკითხს დღეს აღარ განიხილავენ, რადგან სასაუბროდ ბევრი თემა იყო და საამისოდ დრო აღარ დარჩა.

აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრები ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშობს. ნაკრების თავკაც იმედო ფხაკაძის განკარგულებაში შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელები და თურქული გუნდების ლეგიონერები არიან. თბილისშია, მაგრამ ტრავმის გამო ჯერჯერობით ისვენებს ვლადიმერ რუსია. 11 ივნისისთვის ელიან რატი მსხვილიძეს და რევაზ ჭანტურიას, ხოლო სერგო დათუკაშვილი ახალი გუნდის ძიებაშია და ამის მერე ჩამოვა — სერგოს „ლიუბეკი" ხომ მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, ამიტომაც ჩვენებურს გუნდის გამოცვლა მოუწევს.

ნაკრებს 20-21 ივნისს ბელარუსის საერთაშორისო ტურნირი ელის. იქ ჩვენებს მასპინძლების გარდა, სავარაუდოდ, რუსეთი და ლიტვა დაუხდვებიან. ჩვენს ხელბურთის ფედერაციას სურს, მინსკს ნაადრევად ესტუმროს და ბელარუსთან ორი ამხანაგური თამაში გაჩარხოს. უკვე ივლისში კი ქართველები მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატში ითამაშებენ. იტალიაში ასაკის გამო თამაშს მხოლოდ სერგო დათუკაშვილი ვერ შეძლებს, დანარჩენი ბირთვიდან კი თავის გამოჩენა ყველას შეეძლება. წესით, საიტალიო შემადგენლობა ბელარუსულმა შეკრებამ უნდა განსაზღვროს. ამის მერე ნაკრები მომზადებას ოქტომბრის ევროშესარჩევის თამაშებისთვის ისევ თბილისში გააგრძელებს...

**ლექსო მაისურაძე**







# ჩინეთი და პრობლემები

**ამ გაზაფხულს** პეკინში გასამართი ოლიმპიადის სამზადისში გართული ჩინელები დიდად დააზარალა სიჩუანის პროვინციაში მომხდარმა მიწისძვრამ. ამდენი ხალხი ხომ დაიღუპა და, კიდევ მეორეა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. მთელი ქვეყნის გულისყური პეკინისკენაა მიპყრობილი, მილიარდნახევრიანი ერის მთელი რესურსები იქითაა მიმართული და პრობლემები მაინც თავზესაყრელია. როგორია, ამხელა მიწისძვრა რომ დაგატყდება თავს, როცა 9-მილიონიანი დედაქალაქი მოსაწყობია და ტრანსპორტის და კომუნიკაციის სისტემები მთლიანად განსაახლებელია?

სპორტულ დარბაზთა, მოედანთა და სხვა ნაგებობათა მშენებლობაში პეკინს პრობლემა არ აქვს, ჩინელებს, მთელმა მსოფლიო ოლიმპიურ ამჟამინდელ ცენტრს სხვა პრობლემა უტევს. პეკინში თითქმის კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობაა და ვითარება უფრო და უფრო მძიმდება. ასეთი გარემოს დაცვის პეკინის ბიუროს შეფასება. „ოლიმპიადის დროსაც თუ იგივე სიტუაცია იქნება, ამის გამო ზოგიერთი სპორტული ღონისძიებების გადადებაც კი მოგვიხდეს" — ამბობენ ჩინელი ეკოლოგები.

სწორედ მძიმე და ჭუჭყიანი ჰაერის გამო პეკინის ქუჩებში მარათონულ დისტანციაზე (42,195 კმ) სირბილზე უარი განაცხადა რამდენიმე ცნობილმა მძლეოსანმა, რომელთა შორისაცაა ლეგენდარული ეთიოპიელი მარათონელი ჰაილე გებრსელასიე. უშორეს დისტანციაზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენი სწორედ დაბინძურებულ გარემოს შეუშინდა. მას და მის კოლეგებს ხომ ორ საათზე მეტი უნდა ერბინათ და ეყლაპათ შხამად ქცეული ჰაერი.

პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებს ეკო-კატასტროფასთან ერთად კიდევ მრავალ რამესთან და ვინმესთან უწევთ ბრძოლა. მათი თავისტკივილია გამყალბებლები. ჩინელებს გაყალბებაში შეიძლება მსოფლიოში არ მოეძებნოთ ბადალი. ვერ მოგახსენებთ, არჩევნებსაც აყალბებენ თუ არა, მაგრამ ისეთ „უმნიშვნელო" ნივს, როგორიც სტადიონზე მოსახვედრი ბილეთია, ალბათ უიოლესად გააყალბებენ.

ორგანიზატორებიც მათთან ბრძოლაში ნამდვილ სასწაულებს ჩადიან. ასე მაგალითად, ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიებზე დასასწრებ ბილეთებში ჩამონტაჟებულ იქნა ნამდვილი მიკროჩიპები, რომლებზეც მოთავსებული იქნება მოკლე ინფორმაცია ბილეთის მფლობელზე. კერძოდ — ფოტოსურათი, საპასპორტო მონაცემები, ბინის მისამართი, ელ-ფოსტის მისამართი, ბინის და მობილური ტელეფონების ნომრები და ასე შემდეგ. მოკლედ ბილეთების შემმოწმებელს სტადიონზე შემსვლელზე სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რათა იქ უბილეთოდ თაგვიც კი ვერ შეიპაროს. და აგრეთვე, ვერ უნდა შეიპარონ ტერორისტები ან ტიბეტის დაპყრობის მოწინაალმდეგენი.

**ვანო ძოძიაშვილი**



# ქართულ-ბრაზილიურ-ბარსელონური

**ბარსელონაში** მიმდინარე პლაჟის ფრენბურთის მსოფლიოს თასის ეტაპზე ქართველ-ბრაზილიელებმა საქამ და რთველომ ორი თამაში მოიგო, რითაც ძირითად ბადეში ბურთაობის უფლება მიიღო.

ჩვენები საკვალიფიკაციოში მე-3 ნომრად იყვნენ განთესილები. მათ პირველი ეტაპი გამოტოვეს და შემდეგ 35-ე ნომრად განთესილ დანილოვა-პოტაარის კანადურ დუეტს სძლიეს ანგარიშით 2:1 (20:22, 21:8, 16:14), მომდევნო შეხვედრაში კი ჯიორია-მომოლის ფრანგულ დუეტთან გამართეს და იქაც იმარჯვეს — 2:0 (21:17, 22:20).

ძირითად ბადეში საქა და რთველო 25 ნომრად წერიან. ბრაზილიელი ქართველების პირველი მეტოქე კი აშშ-ს წარმომადგენლების, ვაჩოლდერი-ტარნერის წყვილი იქნება.

**ზურაბ მიგრიაული**



რთველო




საქა

# მიგელმა ალბერტოს ანდრესი შეუქო




იყო დრო, ვარდისფერი მაისურა მიგელ ინდურაინს ემოსა

**სეზონის** პირველი სუპერრბოლა, რიგით 91-ე „ჯირო დიტალია“ ფინიშისკენ წავიდა, მაგრამ გენერალური კლასიფიკაციის თავში, ჯერჯერობით, საკმაოდ დახლართული სიტუაციაა და ისეთი პირი უჩანს, გამარჯვებულის ვინაობას ბოლო ეტაპზელა გავიგებთ, როდესაც ჩეზანო მადერნოდან მილანამდე დასკვნითი, 28,5-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა გაიმართება. თუმცა, მანამდე, პარასკევს და შაბათს ორი სამთო ეტაპია, რომელთაგან პირველის ფინიში ალმართშია, ხოლო შაბათს ველოქარავანი წლევანდელი „ჯიროს“ უმაღლეს მწვერვალზე, ზღვის დონიდან 2618 მეტრ სიმაღლეზე მდებარე, „კოპის მთად“ წოდებულ პასო გავიაზე ავა.

სადღეისოდ კი სიტუაცია ასეთია: ლიდერის ვარდისფერი მაისურა შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ მომგებ ესპანელ ალბერტო კონტადორს აცვია. „ასტანას“ მრბოლი 41 წამს უგებს „სონი დიუვალის“ იტალიელ რიკარდო რიკოს და ეს არ არის იმხელა დრო, ორი სამთო ეტაპისა და ინდივიდუალური რბოლის წინ კაცმა თავი დამშვიდებულად რომ იგრძნოს.

კონტადორს წუთითა და 21 წამით ჩამორჩება ვეტერანი იტალიელი, „ჯიროს“ ორგზის ჩემპიონი ჯილბერტო სიმონი, ვინც ინდივიდუალურ რბოლაში ვერა, მაგრამ მთებში კვლავაც ძალზე ძლიერია. ამ სამეულის გარდა საჩემპიონო პრეტენზიები კიდევ ოთხ მრბოლს აქვს: იტალიელებს — მარსიო ბრუზეგინს (+2.00), ფრანკო პელიცოტის (+2.05), შარშანდელ გამარჯვებულ დანილო დი ლუკას (+2.18) და რუს დენის მენშოვს (+2.47), მაგრამ რეალური ბრძოლა, ალბათ, მაინც პირველ სამეულში გაიმართება.

„ლიდერის ვარდისფერი მაისურა, ეს განსაკუთრებული საჩუქარია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ სპეციალურად „ჯიროსთვის“ არ მოვმზადებულვარ — განაცხადა ალბერტო კონტადორმა და დაამატა — ოცი დღის წინ, როდესაც ზღვის სანაპიროზე ვისვენებდი, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, მე-16 ეტაპის შემდეგ „ჯიროს“ ლიდერი იქნებიო, ნამდვილად არ დავუჯერებდი“.

იტალიურ სუპერრბოლაზე და კონტადორის საჩემპიონო შანსებზე თავისი აზრი გამოთქვა ალბერტოს ლეგენდარულმა თანამემამულემ, „ტურის“ ხუთჯერ, „ჯიროს“ კი ორჯერ მომგებმა მიგელ ინდურაინმა.

„რბოლა ძალიან საინტერესოდ მიდის. ალბერტოს უმძიმესი ბრძოლა ელის იტალიელ მრბოლებთან, მაგრამ როგორც არ უნდა დასრულდეს „იტალიური წრე“, მაინც სასიამოვნოა, რომ მასპინძლებს, რომლებიც ათ წელზე მეტია შინაურ გზებზე დომინირებენ, ესპანელი უწევს კონკურენციას.

ჩემი აზრით, კონტადორის უმთავრესი მეტოქეები რიკარდო რიკო, ფრანკო პელიცოტი და დანილო დი ლუკა არიან. ეს უკანასკნელი, თითქოს გვარიანად ჩამორჩა, მაგრამ მაინც ძალზე სახიფათოა. მრავალნაცად ჯილბერტო სიმონისაც აქვს თავის გამოჩენის შანსი. ალბერტოს მთავარი პლუსი კი ის გახლავთ, რომ მას გუნდში ანდრეას კლოდენი ჰყავს და ასეთი მაღალი კლასის მრბოლის გვერდში ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს“ — ბრძანა ლეგენდარულმა ბასკმა.

**გია მუჯირი**





ანა ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევიძე ტატიშვილამდე ვერ ავიდა

**ამერიკის შეერთებულ შტატებში,** კალიფორნიული კერსონის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მხოლოდ ერთი ქართველი, ანა ტატიშვილი თამაშობს. ანა მეოთხე ნომრადაა განთესილი და უკვე მეორე წრეშია მას შემდეგ, რაც 6:1 6:1 სძლია 29 წლისა და რეიტინგში 344-ე პოზიციაზე მყოფ სამხრეთაფრიკელ სურინა დე ბეერს.

ტატიშვილის მეორე მეტოქე ტურნირზე „ვაილდ ქარდით“, ანუ ორგანიზატორთა ნებით მიწვეული ამერიკელი, 17 წლის და კლასიფიკაციის 634-ე ნომერი ეილი ვილია, რომელმაც პირველ წრეში 6:2 6:1 მოუგო მექსიკელ დანიელა მუნიოს-გალიეგოსს.

სამწუხაროდ, ძირითად ბადეში მოხვედრა ვერ მოახერხა სალომე დევიძემ, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი ბარიერი კი გადალახა, მაგრამ მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში 2:6 2:6 წააგო ამერიკელ მოურინ დიასთან, რომელმაც 26-ე დაბადების დღე, სწორედ ქართველთან გამარჯვებით აღნიშნა.

რუსეთში, ტოლიატის ჰარდზე კი 25-ათასიანი შეჯიბრია და არის იმის ალბათობა, რომ მეოთხედფინალში ქართული დერბი შედგეს. ტოლიატში ორი ჩვენებური თამაშობს — სოფო შაფათავა, რომელიც მე-4 ნომრადაა განთესილი და ოქსანა კალაშნიკოვა და პირველი წრე ორივემ წარმატებით გაიარა. კალაშნიკოვაზე გუშინ ვთქვით და შაფათავამ კი 6:1 6:2 მოუგო რეიტინგის 605-ე ნომერს, რუს ეკატერინა დრანეცს.

მეორე წრეში სოფო ასევე რუსს, კვალიფიკაციიდან წამოსულ მარია ჟარკოვას შეხვდება, რომელმაც პირველ მატჩში 6:0 6:0 გაანადგურა თანამემამულე ანასტასია შილინსკაია, ოქსანას მეტოქე კი მე-6 ნომრად განთესილი ავსტრიელი, რეიტინგში კარიერის უმაღლეს, 299-ე პოზიციაზე მყოფი პატრიცია მაიერი იქნება, ვინც პირველ ეტაპზე 6:1 6:2 გაუსწორდა კვალიფიკანტ უკრაინელ ჟანა პლევენს. თუ ჩვენიანები მეორე ბარიერსაც წყვილად დაძლევენ, მაშინ მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

აქვე გეტყვით, რომ ამ კვირის ტურნირებზე კიდევ ერთი ქართველი თამაშობს. ანა ჯიქია თურქეთში, გაზიანთების მაგარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის მეორე წრეშია და იქ ავსტრალიელ დანიელა სკივეტს შეხვდება. რაც შეეხება სოფო მელიქიშვილს, ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთკაროლინური სამტერის 10-ათასიანი ტურნირის წინასწარ განაცხადში კი იყო, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, რაღაც მიზეზის გამო უარი თქვა თამაშზე.

# სტუდენტებმა მედლები დაითვალეს

**13-დან** 26 მაისამდე თბილისში უნივერსიადა მიმდინარეობდა, რომელშიც 22 უნივერსიტეტის 1000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. შეჯიბრებები 11 სახეობაში (ძიუდო, ქართული ჭიდაობა, მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, შვიდკაცა რაგბი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, მკლავჭიდი, მძლეოსნობა, ჭადრაკი) გაიმართა. საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი — 9 ოქროს, 12 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა. მეორეზე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი გავიდა 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლით, ხოლო მესამეზე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 7 ოქროს, 6 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით.

გუშინ კი სამედიცინო უნივერსიტეტში უნივერსიადის დახურვის ოფიციალური ცერემონიალი შედგა. უნივერსიადას სპორტის თერთმეტივე სახეობის ფედერაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

**ზურაბ მიგრიაული**



## როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

### კაცები

#### პირველი წრე

**ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 7:6 7:6 7:6; **დავიდ მარერო** (ესპანეთი) — ვიქტორ კრივოი (რუმინეთი) 6:3 6:3 5:7 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ანდრეას სეპი (31, იტალია) 6:2 7:6 6:2; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:4 6:5 3:6 3:6 6:3; **პოლ კაპდევილი** (ჩილე) — მიშა ზვერევი (გერმანია) 6:1 6:4 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ხუან მონაკო (13, არგენტინა) 6:2 6:3 6:1; **სტანისლას ვავრინკა** (9, შვეიცარია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 6:4 6:3; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 7:6 6:2 7:6; **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — დუდი სელა (ისრაელი) 4:6 6:2 4:6 6:4 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3 6:3 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ჟან-რენე ლისნარი (მონაკო) 6:7 6:1 6:3 6:2; **დიეგო ხუნქეირა** (არგენტინა) — ადრიან მანარინო (საფრანგეთი) 6:1 6:2 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (28, ხორვატია) — ერიკ პროდონი (საფრანგეთი) 7:5 7:6 7:6; **მარკოს დანიელი** (ბრაზილია) — ხუან-კარლოს ფერერო (23, ესპანეთი) 6:7 2:2 (უარი); **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 6:3 6:2 6:4; **ლუის ჰორნა** (პერუ) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 4:6 7:5 6:3 6:0; **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:4 6:3 4:6 7:5; **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — ჯეს ჰუტა გალუნგი (ჰოლანდია) 6:3 7:5 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (21, ჩეხეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:2 6:4 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (25, ავსტრალია) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:7 6:4 6:2 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 7:6 6:1 6:4; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:3 6:4 6:3; **ბობი რეინოლდსი** (აშშ) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 7:6 4:6 6:3 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (30, რუსეთი) — დანიელ ბრანდსი (გერმანია) 6:2 6:4 7:5; **მიხაილ იუჟნი** (15, რუსეთი) — ბენჟამინ ბეკერი (გერმანია) 6:1 6:3 7:6; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ჯონ აისნერი (აშშ) 2:6 3:6 7:5 6:3 6:4; **იარკო ნიემინენი** (26, ფინეთი) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 2:6 6:3 6:4 6:3; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 6:4 3:6 4:6 6:3; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 7:5 6:3 6:1; **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) — ივო კარლოვიჩი (20, ხორვატია) 3:6 7:6 7:6 5:7 6:4; **იგორ ანდრეევი** (27, რუსეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:1 6:7 6:1 6:4; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — დონალდ იანგი (აშშ) 6:2 3:6 7:6 6:2; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:5 6:3 6:1;

#### მეორე წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — მიგელ ანხელ ლოპეს ჟაენი (ესპანეთი) 6:1 6:1 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (18, საფრანგეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 2:6 1:6 6:4 6:3 6:2; **ნიკოლას ალმაგრო** (19, ესპანეთი) — სებასტიან დეკუდი (არგენტინა) 7:6 6:2 6:1; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ტომაშ ბერდიხი (11, ჩეხეთი) 6:3 4:6 5:7 6:3 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 3:6 7:6 7:5 6:2; **ედუარდო შვანკი** (არგენტინა) — მარსელ გრანოლიერსი (ესპანეთი) 6:7 6:2 6:4 6:4; **უეინ ოდესნიკი** (აშშ) — ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 6:2 4:6 6:3 6:2; **ენდი მიურეი** (10, ბრიტანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 6:0 6:4



# ვიღაცამ ნადალი დააბრეიკა

**მოულოდნელად** გაკაპრიზებული პარიზული ამინდი, როგორც იქნა, დაშოშმინდა და ჩოგბურთელებს კორტებზე გასვლის საშუალება მისცა. თუმცა პირობები მაინც შორს იყო იდეალურისგან, რადგანაც ძლიერი ქარი ქროდა და მეჩოგნეებმაც ასე გაუსინჯეს გემო „როლან გაროსის“ თიხას. სათამაშო დღე კი ხანგრძლივი და უხვმატჩიანი გამოდგა, რადგანაც პირველი წრე მთლიანად მიილია და მეორე წრის რამდენიმე შეხვედრაც გაიმართა.

ისევ ფავორიტთა ამბებით უნდა დავიწყოთ — ამ მხრივ კი რაფაელ ნადალს პირველობას ვერავინ ჩამოართმევს. ტურნირის სამგზის ჩემპიონს საკმაოდ მძიმე სტარტი გამოუვიდა და კვალიფიკაციიდან გამჭვრალ ტომაზ ბელუჩისთან გვარიანად იწვალა. ეტყობა იძულებითი უქმობის გამო რაფა გასახდელში „დამწნილდა“ და ამის გამო გარკვეული დრო დასჭირდა ჩვეულად ასათამაშებლად. ახმახი ბრაზილიელი კი, რომელიც ამ დონის ტურნირზე კარიერაში პირველად თამაშობდა, ოდნავადაც არ შეუშინდა მეტოქის ავტორიტეტს და კარგა ხანს თანაბრადაც ეომა.

სამხრეთამერიკელმა განსაკუთრებით თავი პირველ სეტში გამოიდო და საქმე კინაღამ ტაიბრეიკამდე მიიყვანა, თან ისე რომ ნადალი ორჯერ დააბრეიკა. თუმცა ესპანელმა შეძლო საჩოგბურთო ლატარიის თავიდან აცილება და აქედან მოყოლებული ისე ჩაუქად ათამაშდა, რომ ეჭვი აღარავის შეპარვია თუ ვინ იყო სიტუაციის ბატონ-პატრონი.

„ბოლო ორი დღის განმავლობაში მთლიანობაში ალბათ 20 წუთი თუ ვივარჯიშე და რა გასაკვირია, რომ თავიდან ცოტა გამიჭირდა. თანაც პირველი მატჩი ყოველვის ძნელი ჩასატარებელია, განსაკუთრებით უცნობ მეტოქესთან, რომლის ძლიერ მხარეებზეც არაფერი იცი“ — იმართლა თავი ნადალმა.

მოიგეს სხვა ბობოლებმაც, ნიკოლაი დავიდენკოსა და დავიდ ფერერს პრობლემის ნასახიც კი არ შექმნიათ. რუსს სამშაბათიდან გადმოტანილი და წვიმის გამო დაუსრულებელი მატჩის გაგრძელება მოუწია ტომას იოჰანსონთან, რასაც კოლიამ მშვენივრად გაართვა თავი და გამოცდილი შვედს იოლად მოუთავა საქმე. ესპანელს კი სტივ დარსის გასაცამტვერებლად საათნახევარიც ეყო.

აი, ნოვაკ ჯოკოვიჩი კი უკვე მესამე წრეშია. ტურნირის პირველ მატჩში დატოვებული არცთუ კარგი შთაბეჭდილება სერბმა გუშინ პირწმინდად გამოასწორა, როცა საცოდავ მიგელ ანხელ ლოპეს ჟაენს მთლიანობაში ხუთი გეიმი დაუთმო.

მოხდა ორი მცირე მოულოდნელობაც. პარიზის დაგეგმილზე ადრე დატოვება მოუწევთ ივო კარლოვიჩსა და ხუან-კარლოს ფერეროს. ამ უკანასკნელს თავის გამართლება გართულებული ფეხის ტრავმით შეუძლია, რომლის გამოც შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო. არადა, ესპანელი იგებდა და საკმაოდ დამაჯერებლადაც — თუმცა მარკოს დანიელს ბედნიერება სრულიად მოულოდნელად და დაუმსახურებლად დაატყდა თავს და მეორე წრეში ფერეროს მაგივრად სწორედ ეს ბრაზილიელი ითამაშებს. კარლოვიჩმა კი ყველაფერი თავის თავს დააბრალოს, რადგანაც ალეხანდრო ფალასთან შეხვედრაში აყლაყუდა ხორვატმა უამრავი კარგი შანსი გაანიავა.



ანა ივანოვიჩი

მშვიდად ჩაიარა სათამაშო დღემ ქალთა შორის, თუმცა აქ შეიძლებოდა ისეთ სენსაციას დაექუხა, რომელიც კარგა ხანს ტურნირის მთავარ მოვლენად დარჩებოდა — კერძოდ, ბეწვზე გადაურჩა წაგებას ტურნირის პირველი ნომერი მარია შარაპოვა.

საფრანგეთის დედაქალაქში დიდი ამბიციებით ჩასული რუსი პრიმა კინაღამ პირველივე წრიდან გაუშვეს — თანაც ვინ, კვალიფიკაციიდან მოხვედრილმა 19 წლის თანამემამულე ევგენია როდინამ. გუშინ მაშამ აურაცხელი რაოდენობის შეცდომა დაუშვა. განსაკუთრებით ამაზრზენი შარაპოვა საკუთალ მოწოდებაზე იყო და აკი 17 (!) ორმაგი შეცდომა დაუშვა.

არადა, პირველი სეტი მაშამ ისე დამაჯერებლად მოიგო, რომ მოვლენების შემდეგი განვითარება სრულიად მოულოდნელი გამოდგა. თუმცა მეორე პარტიიდან მოყოლებული შარაპოვა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და როდინას ანგარიშის გათანაბრების საშუალებაც მისცა. გადამწყვეტ პარტიაში სიტუაცია კარგა ხანს თანაბარი იყო — მატჩის მოგების პირველი რეალური შანსი კი როდინას მიეცა. თუმცა ახალგაზრდა მეჩოგნემ ვერ ივარგა და დაისაჯა კიდეც.

„ძალიან ცუდად ვითამაშე. თითქმის ყველა კომპონენტში მაქვს მოსამატებელი, რადგანაც ასე თუ გავაგრძელე, აქ კვირის ბოლომდეც არავინ გამაჩერებს“ — სიმართლეს თვალებში უცქერს შარაპოვა.

მოიგო ანა ივანოვიჩმაც. „როლან გაროსის“ შარშანდელმა ფინალისტმა ლუსი შაფაროვას ჩაუტარა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი დაამტკიცა, რომ მშვენიერ ფორმაშია, თანაც ლამაზმანი სერბი უკვე მესამე წრეშია.

**ბახა ლომჯვილი**

### ქალები

#### პირველი წრე

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ევგენია როდინა (რუსეთი) 6:1 3:6 8:6; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:3 2:6 6:4; **ოლივია სანჩესი** (საფრანგეთი) — იარმილა გაიდიშოვა (სლოვაკეთი) 7:6 7:6; **მარია კირილენკო** (21, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:1 6:0; **მაგდალენა რიბარიკოვა** (სლოვაკეთი) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 7:6 3:6 8:6; **ვერა ზვონარიოვა** (11, რუსეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:2 6:1; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 6:2 7:5; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — სიბილ ბამერი (20, ავსტრია) 6:0 6:2; **აი სუგიამა** (31, იაპონია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 2:6 6:3; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 7:5 2:6 6:3; **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 3:6 6:3 6:1; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:7 6:0 6:2; **ვანია კინგი** (აშშ) — ვიოლეტ ჰუკი (საფრანგეთი) 4:6 6:2 6:1; **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3 6:0; **ნადია პეტროვა** (25, რუსეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 7:6 6:3; **ფრანჩესკა შიავონე** (18, იტალია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 6:2; **სანდა მამიჩი** (ხორვატია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4 6:3; **სორანა-მიჰაელა კირსტეა** (რუმინეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:0 3:0 (უარი); **აგნეს სჟავაი** (12, უნგრეთი) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:1 4:6 6:4; **საბინე ლისიცკი** (გერმანია) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 3:6 6:4 6:0; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:2 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:3 5:7 6:1; **ამელი მორესმო** (22, საფრანგეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 7:6 4:6 6:1; **კარლა სუარეს ნავარო** (ესპანეთი) — პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი) 6:4 5:7 6:2; **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) — მარიონ ბარტოლი (9, საფრანგეთი) 6:7 6:3 6:2; **მარინა ერაკოვიჩი** (ახალი ზელანდია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:7 6:3 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (27, სლოვენია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:4 6:2; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:0 2:6 6:3; **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 7:6 6:3; **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 4:6 6:3 6:0; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:4 6:3; **ვიქტორია აზარენკა** (16, ბელარუსი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:1 6:3; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (29, ესპანეთი) — მარია ჟოზე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) 6:3 6:2; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — შაჰარ პირი (17, ისრაელი) 6:2 3:6 6:1; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 5:7 6:2 6:0;

#### მეორე წრე

**აგნეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — ელენა პანძიჩი (ხორვატია) 6:2 6:0; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი) 6:0 6:4; **ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:1 6:2; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:4 6:3; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — ტიმეა ბაჟინსკი (შვეიცარია) 6:4 4:6 6:1; **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 6:2 7:5; **ალიზ კორნე** (19, საფრანგეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:0, 4:6, 3:3 *შეწყდა*





# მზადება



ბერნში, „სტად დე სუისზე“ ხიფათიან ვითარებათა რეპეტიციები მიმდინარეობს: გაწოლილი მანეკენ-ფონები, ვითომდა დაზიანებული კიდურები და საბრძოლო თვითმფრინავები მასპინძელთა მთელ სერიოზულობას ადასტურებს. ალქაიდას მუქარის გარეშეც, შვეიცარიელები ყველაფრისთვის მზად არიან.



# ლაიკერსი წინ მიდის და ზეიმობს

სან ანტონიოშივე იზეიმეს ფინალში გასვლა „ლეიკერსის“ გულშემატკივრებმა. მეოთხე თამაშის შემდეგ, ლოსანჯელესელებმა დასავლეთ კონფერენციის ფინალისტობა აკმარეს შარშანდელ ჩემპიონს.

# შორეული მოლოდინი

ეგებ მოულოდნელიც იყოს, მაგრამ მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში მალაიზიაში არანაკლებ ელიან, ვიდრე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში. მოწმედ ევრო 2008-ის უზარმაზარი ბილბორდიც გამოდგება.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00